პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-8 სართული
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—49

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

წლის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—30 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

№ 43 შაბათი, 24 თებერვალი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10.000 მან. № 43

დღიური

რურის ოკუპაცია: ბრძანება გერმანელ მინისტრების შესახებ მუშების დაჭრა, ფერადი ჯარები რურში, კრუპის [illegible] დეპუტატთა პალატის, რურის საკითხი ინგლისის პარლამენტში.

ახლო აღმოსავლეთში: ბერძნების ჯარის თავის მოყრა მარიცასთან, ომი ან ზავი, კომუნისტების გასამართლება.

რუსეთში: წითელი არმიის ხუთი წლის თავის დღესასწაული სხვა და სხვა ქალაქებში, რადეკის მოხსენება.

ყველა დემონსტრაციაზე.
ამხ. მუშებო!

კვირას ა/წ, 25 თებერვალს სრულდება 2 წელი მას შემდეგ რაც დამხო მენშევიკების, მუშათა კლასის მოღალატეების ძალაუფლება. 2 წელიწადია რაც საქართველოში ნაციონალურ დროშის ნაცვლად, ფრიალებს კომუნიზმის წითელი დროშა, რომელიც შეღებილია მუშათა სისხლით, ბრძოლის და გამარჯვების დროშა.

25 თებერვალს ყველა მუშები წითელ-არმიელებთან ერთად მწყობრი რიგებათ გამოვლიან დემონსტრაციაზე დაანახვებენ ქვეყანას თავის ძალას და ძლიერებას.

ჩვენი დიადი წითელი არმია ამ დღეს დღესასწაულობს თავის 5 წლის იუბილეს ყველა ფრონტებზე რეაქციის ყველა შავბნელი ძალების წინააღმდეგ დაუღალავი ბრძოლის, დაჭიმულ ზეადამიანურ ბრძოლის 5 წელს, 5 წლის განმავლობაში წითელი არმია ძლევამოსილებით იგერიებდა კონტრ-რევოლიუციის გაშმაგებულ იერიშებს. 5 წლის განმავლობაში წითელი არმია იცავდა რა რევოლიუციის მონაპოვრებს, ერთგულ დარაჯათ დგას პროლეტარული რევოლიუციის სადარაჯოზე იცავს რა თავის სისხლით მოპოებულ თავისუფლებას,

დღეს ორივე დღესასწაულის დღეს დეე ყველა მუშებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ჩვენი პროლეტარული ძლიერების დათვალიერებაში. დეე, ყველა მუშები, რომელთათვისაც წმინდა რევოლიუციონური სოციალიზმის ალთქმანი, **გამოცხადდენ ამ დათვალიერებაზე.**

არც ერთი კაცი არ უნდა დარჩეს შინ!

ყველა დემონსტრაციაზე კომუნიზმის წითელი დროშების ქვეშ!

დროშების,—რომლისათვისაც ღირს სიცოცხლე და თავის-დადება!

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს, რომელმაც დაამხო გამცემლების უღელი!

ძირს მუშათა კლასის ყველა მოღალატენი!

გაუმარჯოს დიად წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ პროლეტარულ რევოლიუციას!

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.
საქართველოს პროფკავშირთა საბჭო.
მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო.

დადგენილება
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოში სოფლად დარჩენილ ყოველგვარ ფეოდალურ ნაშთების დაუყონებლივ ერთხელ და სამუდამოდ აღმოსაფხვრელად და სოფლის მშრომელ გლეხობის მიწის სარგებლობის განსამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად ა. წ. 21 იანვრის ც. კ. საგანგებო სესიის მიერ მიღებულ რეზოლიუციისა 1921 წ. დეკრეტის № 17 და 1922 წ. 26 მაისის „დებულების“ განსამარტებლად და დასამატებლად ადგენს:

1. 1922 წლის 26 მაისის „დებულებით“ დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევას და ჩამორთმეულ მიწების დანაწილებას უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხთა შორის ახდენს-სასოფლო კომიტეტები. კომიტეტის დადგენილებებზე შესდგება ოქმები, რომლებშიაც ჩაიწერება ვის, სად და რამდენი მიწა უნდა ჩამოერთვას, აგრეთვე ვის გაუნაწილდეს. სოფლის კომიტეტი შესდგება სოფლის ყრილობის მიერ არჩეულ სამი ან ხუთი წევრისაგან. კომიტეტებს უფლება აქვთ მოიწვიონ მცოდნე პირი (აგრონომი, მიწის მზომელი და სხვ.) საქმის ტეხნიკ. ნაწილის შესასრულებლად.

2. სასოფლო კომიტეტის ოქმები სამი დღის ვადაში წარედგინება თემის საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელიც იხილავს და ამტკიცებს მას ხუთი დღის განმავლობაში, დღიდან მიღებისა. თემის საადგილ-მამულო კომიტეტი შესდგება თემის აღმასკომის მიერ არჩეულ სამი წევრისაგან. საჩივრების განხილვის შემდეგ შესწორებულ და დამტკიცებულ ოქმს თემის კომიტეტი უბრუნებს სოფლის კომიტეტს, რომელსაც დაუყონებლივ მოჰყავს ის სისრულეში. საჩივარი თემის კომიტეტზე უნდა შეტანილ იქნას სამაზრო მიწად-მოქმედების განყოფილების კოლეგიაში არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან ოქმის დამტკიცებისა. საჩივრის შეტანა ოქმის შესრულებას ვერ შეაჩერებს.

3. თემის კომიტეტების მოქმედებაზე შეტანილ საჩივარს იხილავს სამაზრო მიწადმოქმედების განყოფილების კოლეგია, რომელიც შესდგება განყოფილების გამგის და მიწათმომწყობისაგან, სამაზრო აღმასკომის წევრის თავმჯდომარეობით. სამაზრო კოლეგიის დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ცენტრში ერთი კვირის ვადაში დღიდან დადგენილებისა. საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ კომიტეტების, ან კოლეგიის უკანონო მოქმედებაზე. არც ერთი ვადაგაშვებული საჩივარი არ განიხილება.

4. სამაზრო კოლეგიის დადგენილებაზე შეტანილ საჩივარს იხილავს მიწადმოქმედების კომისარიატის საბჭო, რომელიც შესდგება კომისარის მოადგილ ს და მიწათმოწყობის განყოფილების გამგისაგან კომისარის თავმჯდომარეობით. კომისარს შეუძლია საჩივრის განხილვა სხვა შემადგენლობას მიანდოს. საბჭოს დადგენილება საბოლოვოა.

5. ყოველგვარი დავა მიწაზე ან მიწის სარგებლობით გამოწვეული, რომელიც აღიძრება არა მიწათ-მოწყობის პროცესში, უნდა განხილულ იქნას საერთო წესით სახალხო სასამართლოს მიერ.

6. 1921 წ. 27 ივლისის დეკრეტის № 62 თანახმად არსებული საადგილ-მამულო კომისიები, როგორც ცენტრში, ისე მაზრებში გაუქმებულ იქნან.

7. 1922 წლის 26 მაისის „დებულების“ მუხლები მეოთხე და მეშვიდე შენიშვნით, გაუქმებულ იქნან და მუხლი მეექვსე იმავე „დებულებისა“ შეცვლილ იქნას შემდეგნაირად:

„მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ ყოფილის მეურნეს, რომელიც სცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

ადგილობრივ მცხოვრებ მოხუცებულ-დავრდომილს და ქვრივ-ობოლს თუც ისინი ცალკე კომლს წარმოადგენენ და მრჩენელი არა ჰყავთ, სოფლის მუშა-წითელ არმიელს, მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეთ და მუშაკთ, ვინც საბჭოთა სამსახურში არჩევით დროებით მოწყვეტილია მეურნეობას, დაეტოვებათ სრული ნორმა.

ყველა სახელმწიფო და კერძო წარმოებათა ფიზიკურათ მომუშავე მუშებს, სოფლის მასწავლებლებს, სამაზრო, თემის და სოფლის აღმასკომების მუშაკთ, რომელთაც კავშირი სოფლის მეურნეობასთან არ გაუწყვეტიათ და აგრონომიო და საექიმო პერსონალს—დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა, მიწის კომიტეტების თანხმობით.

8. გარდა წინა მუხლში აღნიშნული ცვლილებისა, ყველა დანარჩენი მუხლები 1922 წლის 26 მაისის „დებულებისა“ ც. ა. კ. მეორე სესიაზე შეტანილ ცვლილებებით დატოვებულ იქნან ძალაში მიწის მომწესრიგებელ ორგანოების სავალდებულო სახელმძღვანელოდ.

9. მიწათმოქმედების კომისარიატის მიწათ-მომწყობ განყოფილებას ევალოს დაუყოვნებლივ შეუდგეს მიწების და მიწის მოსარგებლეთა რეგისტრაციას იმ სოფლებში, სადაც სასოფლო კომიტეტების მიერ გათავებული იქნება მიწათმოწყობის პროცესი. ამ დადგენილების პირველი მუხლის საფუძველზე. რეგისტრაციის მთავარ მიზნათ უნდა იქნეს საახალშენო ფონდის შექმნა, რისთვისაც მიწათ-მოწყობის ტეხნიკოსები შეამოწმებენ სოფლის ყრილობის მიერ მოხდენილ განაწილებას და შეიტანენ შიგ კორექტივს, თუ სოფელმა არსებული ნორმის მიხედვით მეტი მისცა.

10. დაევალოს მიწათმოქმედების კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საახალშენო საქმეს, რისთვისაც მიწათ-მოწყობის განყოფილებაში დაარსდეს საახალშენო ქვე-განყოფილება. დაევალოს იმავე კომისარიატს საახალშენო საქმისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენა ერთი კვირის განმავლობაში და მიწათ-მოწყობის ყველა დარგებისათვის სათანადო ინსტრუქციების შემუშავება.

11. მიწად-მომწყობის განყოფილების შტატი გადიდებულ იქნეს საჭიროებისამებრ და მთელი ხარჯი მიწათ-მოწყობისა გაღებულ იქნას სახელმწიფო სალაროდან, რისთვისაც მიწათ-მოქმედების კომისარიატს დაუყონებლივ გაეხსნას სათანადო კრედიტი.

12. მიწების ჩამორთმევა დანაწილებით და რეგისტრაციით გამოწვეული ხარჯები, გარდა მთავრობისაგან მივლინებული ტეხნიკურ პერსონალის ჯამაგირებისა და დღიურებისა, როგორც მაგალითად: სოფლის კომიტეტების სამუშაო ჯილდო, მუშების, გადასაზიდი საშუალებების და სხვა ხარჯები გაიღონ თვით სოფლებმა, თემის კომიტეტის გაწერით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ხაბაშვილი.**

23 წ. თებერვლის 22
ტფილისი—სასახლე.

წითელი არმიის მეორე ხუთი წლის დასაწყისში

მეორე ხუთ წელში ჩვენ გადავდივართ აღჭურვილნი დიდი გამოცდილებით. როგორია უმნიშვნელოვანესი დასკვნები? რაში მდგომარეობდა ჩვენი ძალა და, რაც უმთავრესია, ჩვენი სისუსტე? ვინაიდან საკუთარი სისუსტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია წინ სვლა.

ჩვენ ვიმარჯვებდით რევოლიუციონური ავანგარდის უსაზღვრო თავგანწირვით და გლეხთა რეზერვების სიმრავლით. ეს ორი ჩვენი ძირითადი უპირატესობა რჩება მომავალშიაც. გლეხთა რეზერვებს თან და თან უფრო ძლიერად იზიდავს მუშათა ავანგარდი, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, დღითიდღე გაიზრდება. მაგრამ ჩვენი გამარჯვების ამ ორ პირობას, თავისთავად ცხადია არა სამხედრო ხასიათი აქვს: ისინი შეადგენენ საბჭოთა ხელისუფლების სოციალურ ბუნებას, პროლეტარიატის კლასიურ ხარისხს. წარსული ხუთი წლის წითელი არმია იყო ცდა ამ ჩვენ უდიდეს უპირატესობათა გამოსაყენებლად სამხედრო მიზნებისათვის. შედეგი აშკარაა: ჩვენ თავი დავიცავით. მაგრამ რა დაგვიჯდა ეს? აუარებელი მსხვერპლი. სამხედრო ხელოვნება კი, როგორც ყოველი სხვა, მდგომარეობს იმაში, რომ მიაღწია შედეგს მინიმალური ენერგიის დახარჯვით, ან კიდევ „ნაკლები სისხლით“, როგორც ამბობდა სუვოროვი.

ენტუზიაზმის და თავგანწირულების გარეშე არ არის ბრძოლა და გამარჯვება: მაგრამ არმია იწყება იქ, სადაც არის ამ თვისებათა სწორი და მიზანშეწონილი ორგანიზაცია, მათი მოხერხებული გამოყენება. ყოველგვარ ჩვენს ნაკლს ორგანიზაციის, სწავლების და მომარაგების სფეროში ჩვენ ვავსებდით რეზერვების სიმრავლით ან კიდევ ავანგარდის გმირობით და თავგანწირულებით. სიმრავლე და გმირობა საჭირო იქნება მომავალშიაც. მაგრამ აუცილებელია აგრეთვე მათი შევსება სამხედრო ცოდნით და ტეხნიკით.

ეს არის ორი უმთავრესი ხაზი, საითკენაც იქნება მიმართული მთელი ჩვენი ძალ-ღონე მეორე ხუთ წელში: კერძო პირთა და კოლლექტიური სამხედრო **სწავლება** და სამხედრო **ტეხნიკა**. ჩვენ შევამცირეთ არმია ექვსასი ათას კაცამდე: სახელმწიფოს სიდიდის, მცხოვრებთა რაოდენობის, საზღვრების და მოსალოდნელ მტრების მიხედვით,—ეს არსებითად არის კადრები და არა არმია. მაგრამ სწორედ აქედან გამომდინარეობს ამოცანა, ავსწიოთ რაც შეიძლება ამ არმიის ხარისხი სამხედრო ცოდნის, აღზრდის და ტეხნიკის მხრივ. მივსცეთ მას საუკეთესო და ყოველ მხრივ მომზადებული კომანდირი და მებრძოლთა მთელი მასსა თანდათან მივიყვანოთ უწინდელ უნტერ-ოფიცერის დონემდე, თავისთავად ცხადია შეიარაღებულ ძალების ახალი პირობების და ახალი სტრუქტურის მიხედვით. ეს სრულიადაც არ არის უტოპიური მისწრაფება. ახალგაზრდობა—არა მარტო მუშური, არამედ გლეხურიც—არმიაში შემოდის ფხიზელი და თვალახელილი. ძველ სამხედრო პირებს უკვირთ, როგორ სწრაფად სწავლობს ეხლანდელი წითელი არმიის ახალგაზრდობა წერა კითხვას მეფის არმიის ახლად გაწვეულ ჯარისკაცებთან შედარებით. სწავლის სურვილის გაღვივება, სახალხო მასების ფსიხიური მოძრაობის ზრდა არის, ჯერ-ჯერობით, რევოლიუციის მთავარი მონაპოვარი. ეს მონაპოვარი დაედება საფუძვლად მომავალში ყოველგვარ საამშენებლო სფეროს: ჯარში გაწვევამდე ახალგაზრდობის მომზადების სწორად დაყენებულმა სისტემამ, დაკავშირებულმა სამხედრო სწავლების, და აღზრდის გონიერად და მიზანშეწონილად მოწყობილ სისტემასთან თვით არმიაში, მახლობელ წლებში უნდა უზრუნველყოს მთელი არმიის კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს საჭირო შემთხვევაში მილიონობით დაიტიოს თავის რიგებში მობილიზაციით გაწვეულები.

მეორე ამოცანაა—ტეხნიკა. როგორია აქ პერსპექტივები? მეფის მთავრობა თავის ჯარებს აწყობდა უცხოეთის ტეხნიკის დახმარებით. ეს ბუნებრივი იყო, ვინაიდან ეს მთავრობა თვით შედიოდა ევროპის წონასწორობის ერთ ერთ კავშირში. ჩვენ კი ბურჟუაზია გვიყურებს და უნდა ითქვას, რომ არა უსაფუძვლოდ,—როგორც კაპიტალისტური ქვეყნის წონასწორობის დამრღვევთ და მის შეურიგებელ მტრებს. მაშასადამე კაპიტალისტური ევროპის ან ამერიკის უშუალო დახმარებას ჩვენს სამხედრო ტეხნიკაში არ შევიძლია მოველოდეთ, მით უმეტეს მნიშვნელოვანია ჩვენი საკუთარი ღონისძიებანი ამ მიმართულებით. სამხედრო ტეხნიკა დამოკიდებულია საერთო სამეურნეო ტეხნიკისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სასწაულებრივი ნახტომები შეიარაღების და საერთოდ არმიის მომარაგების სფეროში შეუძლებელია. შესაძლოა მხოლოდ სისტემატიური მუშაობა და თანდათანობითი გაუმჯობესება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია მნიშვნელოვანი გამარჯვების მიღწევა მოკლე დროის განმავლობაში—ცალკე, უფრო უმნიშვნელოვანეს სფეროებში მაინც. საბჭოთა რესპუბლიკის მთელი მეურნეობა—სასტიკი ნგრევის პერიოდის შემდეგ—ფეხს იდგამს და მიდის წინ. პროცესი **პირველად** ნელი და მერყევი იქნება. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სამხედრო მრეწველობა ჩავაყენოთ განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში—თავისთავად ცხადია, არა საერთო მეურნეობისათვის საზიანოდ,—თვით სამხედრო მრეწველობაში კი პირველ რიგში წამოაყენოთ ის სფეროები, რომელთაც ამ ჟამად ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ასეთია, ეჭვს გარეშე, **ავიაცია.** ეს საომარი საშუალება და მრეწველობის ეს სფერო ჩვენ ახლო მომავალში ჩვენი ქვეყნის ყურადღების ცენტრად უნდა გავხადოთ. ეს მით უმეტეს შესაძლებელია, რომ ავიაციის სფეროში წმინდა სამხედრო მოთხოვნილებანი მჭიდროთ და უშუალოთ უკავშირდება ქვეყნის სამეურნეო კულტურულ ინტერესებს. ავიაცია არის სივრცის დაძლევის ყველაზე უფრო ძლიერი და თანამედროვე საშუალება. მას უდიდესი მომავალი აქვს. და საჭიროა, რათა ჩვენი ახალგაზრდობა რაც შეიძლება უფრო ძლიერად გატაცებულ იქნეს საჰაერო ტრანსპორტის ზრდის და აღორძინების იდეით. ამ საქმით უნდა დაინტერესდენ ჩვენი ტეხნიკოსები, პედაგოგები, პოეტები და მხატვრები.

ჩვენ ვლაპარაკობთ არმიის ამოცანების შესახებ მეორე ხუთ წელში, არ გვგონია, რომ ეხლა ჩვენ ვინმე გაგვკიცხავს იმისათვის, რომ ვცდილობთ განსჭვრიტოთ შორეული მომავალი. ვინაიდან აშკარაა, რომ წითელი არმია საჭირო იქნება ერთი წლის, ორის და ხუთი წლის შემდეგაც. რევოლიუციონურმა განვითარებამ ევროპაში შეიძლება, ეხლანდელ შედარებითი სიწყნარის პერიოდის შემდეგ, ერთბაშათ მიიღოს უფრო მღელვარე ხასიათი. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ იმპერიალისტური ომების და რევოლიუციონური ქარტეხილის ეპოქა გაგრძელდება არა თვეებით, არამედ წლობით და ათწლობით, მოიცავს რა ქვეყანას მოკლე ხნის დასვენებების შემდეგ ახალი უფრო მძიმე, მტკივნეული სპაზმებით და თუ ეს ასეა, საჭიროა სერიოზული და ხანგრძლივი მზადება, მტკიცე და ენერგიით აღსავსე მუშაობა. მომავალ წლებში ჩვენი მუშაობის პროგრამა კი თავის თავად გამომდინარეობს გუშინდელი დღიდან და დღევანდელი პირობებიდან: ენტუზიაზმი უნდა გავამრავლოთ სამხედრო ხელოვნებაზე და რაოდენობა—ტეხნიკაზე. მაშინ გავიმარჯვებთ „ნაკლები სისხლით“.

ლ. ტროცკი.

საუბარი ამხ. გ. ვ. ჩიჩერინთან

კაპიტალის კონცენტრაცია და ტრესტიფიკაცია.

— უკეთებ რა ჯამს საზღვარ-გარეთში ყოფნის დროს ჩემ დაკვირვებებს, საერთოთ შემიძლია ვსთქვა, რომ მიმდინარე პერიოდს ახასიათებს კაპიტალის კონცენტრაცია და ტრესტიფიკაცია საერთაშორისო ფორმებში. სხვა და სხვა ქვეყნებში ადრევე განვითარდა კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი; დღეს კი მომხდარ ამბების კულისებში ჩვენ ვხედავთ მამოძრავებელ ძალის სახით ბრძოლას ნაციონალურ ტრესტების საერთაშორისო გაერთიანებისათვის მათი როლის საერთაშორისო მასშტაბით გაფართოებისათვის, ნაციონალურ ჩარჩოების გადალახვისათვის, კაპიტალის ინტერნაციონალურ გაერთიანების ეს პროცესი ხდება ომის შემდეგ დამდგარ კრიზისის და დაშლის პირობებში, რომელიც აძლევს ამ გაერთიანებას ზოგჯერ მახინჯ ფორმებს და რომელსაც თან სდევს მთელი რიგი მტკივნეულ მოვლენათა. გაღატაკების გზაზე დამდგარი საშუალო და წვრილი ბურჟუაზია და დამშეული ბურჟუაზიული ინტელიგენცია ვარდებიან უკიდურეს შოვინიზმში და ქმნიან გახურებულ პოლიტიკურ ატმოსფერას. საფრანგეთში ეს ელემენტები მხარს უჭერენ იმას, რაც ნაციონალურ ბლოკიდან დარჩა; გერმანიაში ისინი შედიან „ორგეშში“ ან პირდაპირ ხმას აძლევენ უკიდურეს მემარჯვენეებს; იტალიაში ისინი შეადგენენ რთულ მოვლენის-ფაშიზმის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას, მათი გამძვინვარებული ფუსფუსი მოასწავებს ომის მოახლოებას, მას შეუძლია აგრეთვე განსაზღვრულ ფარგლებში გამოიწვიოს სამხედრო მოქმედებანი. **მაგრამ ახალი მსოფლიო ომი ყოველ შემთხვევაში არც ისე ახლო არის.**

ამ ომის მამოძრავებელ ძალათ შეიძლებოდა გამხდარიყო ხელმძღვანელ ეკონომიური ჯგუფების ანტაგონიზმი; მაგრამ ამ უკანასკნელმა უნდა გაიაროს განვითარების მთელი პერიოდი, სანამ მათი ურთიერთობა არ გამწვავდება ისე, რომ შეიქმნეს მსოფლიო ომის გამოწვევის პირობები: ომამდე აღნიშნულ დროის წინააღმდეგ, როდესაც მილიტარიზმი ეყრდნობოდა მსხვილ მრეწველობას, პაციფიზმი კი წვრილ ბურჟუაზიას—დღეს მსხვილი მრეწველობა მთლიანად პაციფიზმის იდეის მატარებელია, ხოლო წვრილი ბურჟუაზია, ყოველ შემთხვევაში მისი გაღატაკებული ნაწილი, გახდა მილიტარისტული და უკიდურეს შოვინისტურ მიმდინარეობის მთავარი საყრდნობი.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

დასავლეთ ევროპის დიპლომატიური ცხოვრებას საფუძვლათ უდევს ინგლის, საფრანგეთ-გერმანიის სამკუთხოვანი ურთიერთობა. ინგლის-საფრანგეთის მსოფლიო ანტაგონიზმი ჯერ შორს არის საბოლოვო მომწიფებამდე, მაგრამ ეს ანტაგონიზმი იჭრება თანამედროვე დიპლომატიურ ურთიერთობაში. საფრანგეთს და გერმანიის შორის არსებულ დღის წესრიგში უმთავრესი საკითხია მათი ეკონომიური დაახლოვება, ორივე ქვეყნის სამრეწველო კაპიტალის შეთანხმება. საერთაშორისო ტრესტიფიკაციის ტენდენციის ეს საინტერესო მაგალითი მოითხოვს ყურადღებით განხილვას. სარეპარაციო საკითხში ეს მიდრეკილება იღებდა ეკონომიურ შეთანხმებათა ფორმას. მაგრამ იგი კიდევ უფრო შორს მიდის, მის წინაშე უფრო მნიშვნელოვანი მიზნები ისმება. თანამედროვე საფრანგეთი ძალიან განირჩევა ომის წინანდელ საფრანგეთისაგან: იქ განვითარებული სამრეწველო კაპიტალი უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკაზე; იგი სცდილობს აქტიურ, რეალურ, სამრეწველო პოლიტიკის გატარებას; მას ესაჭიროება მაზრები, სხვა ქვეყნებთან ეკონომიური კავშირის გაფართოვება. ვერსალის ხელშეკრულებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ საფრანგეთს ზედმეტი რკინა დაუგროვდა და მისთვის საჭიროა გერმანია ამ რკინის ფაბრიკატებათ დასამუშავებლად. საერთოთ საფრანგეთსა და გერმანიის მრეწველობის შორის მთელ რიგ დარგებში უკვე სწარმოებდა მოლაპარაკება შეთანხმებით ტრესტიფიკაციის, არტელებად გაერთიანების შესახებ. სამრეწველო კაპიტალის ეს ტენდენციები და მისი გაძლიერებული გავლენა იყო მიზეზი იმისა, რომ საფრანგეთში წლის ბოლოს იზრდება ლტოლვა რუსეთთან. ოფიციალურ სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენისაკენ.

საფრანგეთის სამრეწველო კაპიტალის ახალი პოლიტიკის მთავარ წარმომადგენლად ითვლება „ბანკ დე პარი“ და „დე პეი ბა“, რომელთაც ხელმძღვანელობს საფრანგეთის ერთი საუკეთესო ეკონომიური მოღვაწეთაგანი—ბანკირი ფინალი. ეს ელემენტები ურთდებიან ჩამოყალიბების პროცესში მყოფ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თან და თან ძლიერდება, თუ პარლამენტში არა, ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში, ე. წ. „ცენტრის კონიუნქციებში“. უკანასკნელს ემხრობა საფრანგეთის სახელმწიფოებრივ მოღვაწეთა შორის ერთი უნიჭიერესთაგანი—ლუშერი, რომელიც დაკავშირებულია ჩრდილოეთის მრეწველობასთან.

რურის ავანტიურა.

რურის ავანტიურა, რომელმაც გამოიწვია დიდი არევ-დარევა მთელი ევროპის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში და ამით კი დიდი ზიანი მიაყენა იმ საბჭოთა რესპუბლიკებსაც, რომელთაც ესაჭიროებათ სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის დამყარება, რთულ შეფარდებაში იმყოფება საფრანგეთის მრეწველობის სხვადასხვა ტენდენციებისადმი.

რა თქმა უნდა ეროვნულ მოწინააღმდეგის წინაშე მთელი ბურჟუაზია იცავს ჩვეულებრივ სამღვთო ერთობას, მაგრამ უკვე ამ ჟამად სამრეწველო გაზ. „ჟურნე ინდუსტრიელი“ აშკარად გამოსთქვამს უკმაყოფილებას რურის პოლიტიკის გამო. უკანასკნელი, ანადგურებს რა გერმანიას, არაფერს აძლევს საფრანგეთს, რომელსაც არ აქვს საშუალება გერმანელების გარეშე ნაყოფიერად გამოიყენოს რური და არა პირდაპირ იწვევს თვით საფრანგეთის გაღატაკებასაც და ზიანს აყენებს მის მრეწველობას. ეს ავანტიურა დაწყებული იქნა უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რათა დაეკმაყოფილებიათ მყვირალა შოვინისტური მასები. შესაძლოა აგრეთვე, რომ მმართველ ჯგუფების ზოგიერთ წევრებს აზრათ ქონდათ აბსურდათ გადაექციათ ამ მასების სურვილები და საქმით დაემტკიცებიათ ამ სურვილების უნიადაგობა—თვალსაჩინო სწავლების საშუალება, რა თქმა უნდა ძალიან სახიფათოა. მაგრამ ამავე დროს რურის საკითხი უკავშირდება საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობის შეხების მნიშვნელოვან წერტილს. ცნობილია, რომ საფრანგეთის მძიმე მრეწველობას, რომელსაც ბლომად მოეპოვება რკინა, სჭირია რურის ოლქის კოქსი, და რომ გერმანიის მძიმე მრეწველობას, თუმცა არც იმდენად, მაგრამ მაინც ესაჭიროება საფრანგეთის რკინა. ბევრი იმ აზრს იცავდენ, რომ რურის დაკავების გეგმა აიხსნება საფრანგეთის სურვილით ხელში ჩაიგდოს მისთვის საჭირო კოქსი, რომლის ამოღებას იგი ვერ მოახერხებდა გერმანელების გარეშე. მაგრამ დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარის დარნაკის საიდუმლო მოხსენება, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა „მანჩესტერ გარდიანში“ და რომელიც ნათლად გამოხატავდა საფრანგეთის აგრესიულ გეგმებს, გულისხმობდა გერმანიისაგან რეინის მარცხენა ნაპირის ჩამოჭრას, მაგრამ სდგას რა საფრანგეთის მძიმე მრეწველობის წინაშე გერმანიის მძიმე მრეწველობასთან არტელების მოწყობის ამოცანა, აღნიშნული მოხსენება მოითხოვს მხოლოდ 1921 წელში დაკავებულ ტეტ-დე-პონის (დიუსელდორფის და დიუისბურგის) დაცვას. ჩვენ ვიცით, რომ რურის ავანტიურის წინ პუანკარეს მთავრობამ ჩაშალა განზრახულ მოლაპარაკება საფრანგეთის და გერმანიის მძიმე ინდუსტრიის წარმომადგენელთა შორის, ალბათ, ეშინოდა, რომ სარეპარაციო საკითხების ხელმძღვანელობა ხელიდან არ გასხლტომოდა მთავრობას. ორივე ქვეყნების მრეწველთა შორის ურთიერთობა მაინც არსებობდა, ამასთან გერმანიაში ლაპარაკობენ საფრანგეთის მრეწველთა გადაჭარბებულ მოთხოვნილებებზე. მაგრამ თუ გერმანიის ინდუსტრიასთან კარტელების მოწყობა დიდ სარგებლობას მოუტანდა აღმოსავლეთ საფრანგეთის ინდუსტრიას, იგი ამავე დროს გაანადგურებდა მაგალითად ნორმანდიაში არსებულ წარმოებებს. სხვა და სხვა ჯგუფთა ინტერესებს შორის კულისებში წარმოებელი ბრძოლის დანახვა გარეშე თვალს ძალიან გაუძნელდება, და საჭიროა ძალიან ახლოს იცნობდე ამ წრეს, რომ გაარკვიო მისი საიდუმლოებანი. მეგობრულ შეთანხმებით დაინტერესებულ ორივე მხარის მრეწველებიც კი არ იყვნენ წინააღმდეგი ურთიერთი ძალების გასინჯვისა, რაც სულ ერთი არ არის მოგების განაწილების თვალსაზრისით. ეს რა თქმა უნდა წვრილმანია, რომელიც სრულიადაც არა სცვლის მომხდარ ამბების პერსპექტივებს. საფრანგეთის სამხედრო პირები კი, თავის მხრივ გულგრილად ვერ შეხედავდენ მათ სრულ განკარგულებაში იმ ნედლი მასალის შეძენას, რომელიც საჭიროა საფრანგეთის და ინგლისს შორის მოსალოდნელ ომისათვის. მრეწველობისათვის კი პირიქით, საკუთარი ინტერესების მიხედვით საჭიროა მშვიდობიანი შეთანხმება მეორე მხარესთან. თვით შნეიდერი გადავიდა ნაციონალურ ბლოკიდან „ცენტრის კონიუნქციაში“ და მხარს უჭერდა უკანასკნელ ხანებში გერმანიასთან მშვიდობიან შეთანხმებას. შესაძლებელია, რომ მშვიდობიანი შეთანხმების ხაზი ორივე მხრით ერთბაშათ ვერ გაიმარჯვებს: ძალიან ძნელია კრიზისის თავის დახწევა, როდესაც საფრანგეთის მთავრობა დაიცავს თავის მოთხოვნილებებს სარეპარაციო საკითხში, ხოლო გერმანიის მთავრობა მოითხოვს რურის წინასწარ ევაკუაციას ვიდრე მოლაპარაკება დაიწყებოდეს. მაგრამ ადვილად წარმოსადგენია, რომ რურის ავანტიურა ბოლოს და ბოლოს იქნება ეპიზოდი ორი მრეწველობის კარტელებათ გაერთიანების პროცესში. ხოლო ჯერ-ჯერობით კი გერმანიის ჩაგრულ მასებში გაძლიერდება ნაციონალური სულის კვეთება, და მემარჯვენე ელემენტები მოგებულნი რჩებიან მძიმე კრიზისის გამო. ამავე დროს ამ ავანტიურის შედეგებით იტანჯება მთელი ევროპა.

ინგლისის და ამერიკის ლოდინის პოლიტიკა.

ერთბაშათ გამოიწვევდა მორიგებას ინგლისის და მით უმეტეს ამერიკის და ინგლისის ერთად ჩარევა, მაგრამ ორივე ეს სახელმწიფოები იცდიან და თვალყურს ადევნებენ მომხდარ ამბებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი პოლიტიკური და ეკონომიური ერთმანეთთან დაახლოვება არის თანამედროვე პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტი. ინგლისი კონსერვატიულ მთავრობის დროს, წინანდელზე მეტად არის დაინტერესებული დომინიონებით და კოლონიებით და აბანდებს მათში კაპიტალებს; მრავალი მისი ბანკები მჭიდროთ არიან დაკავშირებული კონტინენტთან და გერმანიის ეკონომიური წრეების მნიშვნელოვანი ნაწილი იცავს ინგლისის ორიენტაციას. საფრანგეთში ფართოთ გავრცელებულია აზრი, რომ ინგლისმა მთელ რიგ მოხერხებულ მანევრების საშუალებით აიძულა საფრანგეთი რურში შეჭრილიყო და შემდეგ მიატოვა იგი ამ მდგომარეობაში და ამგვარად თამაშობს განსაზღვრულ დრომდე შორიდან მაყურებელის როლის. იმავ ფრანგებს არ გაუკვირდებოდათ, თუ რომ ამავე დროს ინგლისი წააქეზებდა გერმანიას წინააღმდეგობის გაწევისაკენ.

ანტაგონიზმი ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

რურის საკითხმა, ისევე როგორც ლოზანას კონფერენციამ გააღრმავა ანტაგონიზმი ინგლისსა და საფრანგეთს შორის და მძულვარებამდე მიიყვანა იგი, თუმცა ამავე დროს ორივე მსოფლიო მეტოქეებს ერთმანეთი მუდამ ესაჭიროებათ.

ეჭვს გარეშეა, რომ ლოზანას კონფერენციის ჩაშლის შემდეგ მოსალოდნელია აქტიური საიდუმლო დიპლომატია და გაძლიერებული ბრძოლა საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

მაგრამ უფრო ადრე ვიდრე მთავრობები, კონცესიონერები მოაწყობენ თავის საქმეებს: პრესა არ ფარავს, რომ ამერიკელ ადმირალის ჩესტერის მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან, რკინის გზის კონცესიების აღების და ახლო მდებარე მადნეულობის ექსპლოატაციის შესახებ წარმატებით სწარმოებს. ვიცით აგრეთვე, რომ ყოველგან მყოფი ურკარტი აწარმოებს ოსმალეთში მოლაპარაკებას მსხვილ კონცესიების შესახებ. ოსმალეთთან შეთანხმება მთავრობებს უფრო ძვირად დაუჯდებათ, მათ მოსთხოვენ კიდევ უფრო სერიოზულ დათმობებს, ვინაიდან ოსმალეთის ხალხი დაუშვებლად სთვლის ჩარევას თავის გემების აღმშენებლობაში, და თავის ეკონომიურ ცხოვრებაზე სხვის ზედამხედველობას, რომელსაც მოითხოვს ანტანტის მიერ წარდგენილი ხელშეკრულების პროექტი.

საბჭოთა რესპუბლიკები არიან ჩაგრულ ხალხთა ერთად ერთი ერთგული მეგობრები.

კაპიტალის საერთაშორისო ტრესტიფიკაციასთან ერთად მოწინააღმდეგე პოლიუსზე ხდება ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლება. აღმოსავლეთის ხალხთა მრავალ რიცხოვანი დელეგაციები ლოზანაში **ხედავდენ საბჭოთა რესპუბლიკებში თავიანთ ერთგულ მეგობრებს,** და ეს კავშირი კიდევ უფრო მტკიცდებოდა ლოზანას კონფერენციის მიმდინარეობის დროს. აღმოსავლეთის ქვეყნების ადგილობრივი გაზეთები აღნიშნავდენ, რომ ოსმალეთის დიპლომატიური გამარჯვების მიზეზი იყო საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიური დახმარება, რის გამოც საბჭოთა დელეგაციების ყოფნა ამაგრებდა ოსმალეთის მდგომარეობას.

საბჭოთა რესპუბლიკები ასრულებდენ ყველა ჩაგრულ ხალხთა მეგობრობის ისტორიულ როლს, ყველა იმ ხალხთა, რომელთა არსებობას საფრთხე მოელის, ან რომელთაც თავს ესხმიან.

სრუტეების საკითხი ღია დარჩა.

საფრანგეთის პოლიტიკის საქანელას მუდმივი რყევა ლოზანაში წარმოადგენდა რეფლექსს იმ დავისას, რომელიც არსებობდა საფრანგეთსა და ინგლისს შორის რურის საკითხში. კონფერენციის მიმდინარეობის დროს, ჩვენი გამოსვლების წყალობით, საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს შორის გავრცელდა რწმენა, რომ სრუტეების უცხო გემებისათვის გახსნა, ესე იგი შავი ზღვის ინგლისისათვის გადაცემა, არ არის ხელსაყრელი საფრანგეთისათვის. საფრანგეთი, იტალია და ოსმალეთი ჯერ კიდევ შემოსეულნი არიან ამ საკითხში თავისი ძველი ვალდებულებებით. მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკების პერიოდი საერთო ხელშეკრულების ხელის მოწერით დამთავრდება და თუ ამავე დროს ხელმოწერილი იქნება ჩვენთვის მიუღებელი კონვენცია სრუტეების შესახებ, იგი ხანგრძლივი არ იქნება, რასაც აშკარად აცხადებენ არა მარტო ოსმალეთის, არამედ საფრანგეთის და იტალიის ჟურნალისტები.

რუსეთის გარეშე არ შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის წარმოება.

საბჭოთა დიპლომატიის მდგომარეობა ამ არაჩვეულებრივ-რთულ პირობებში აგრეთვე ძალიან რთულია.

ყოველმხრივ ვზრუნავთ რა ჩვენი საზღვრების და სანაპიროების დაცვაზე, ამავე დროს ვილაშქრებთ რა ყველაფერ იმის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უმზადებს საერთაშორისო მშვიდობიანობას, და ვიცავთ რა ჩაგრულ ხალხებს, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ საბჭოთა რესპუბლიკების ჯერ კიდევ დაუმთავრებელ პოლიტიკურ და ეკონომიურ ბლოკადის ლიკვიდაციის და ამ რესპუბლიკებისათვის სხვა ქვეყნებთან დაუბრკოლებელ ეკონომიურ კავშირის დამყარების აქტუალური ამოცანები. ვდგევართ რა ყოველთვის სადარაჯოზე ჩვენ არ უნდა გაუშვათ ხელიდან მსოფლიო ანტაგონიზმის ყოველდღიური თამაშის არც ერთი წვრილმანი, ვინაიდან **არ შეიძლება მსოფლიო პოლიტიკის წარმოება რუსეთის და მისი მოკავშირეების გარეშე** და არ არის არც ერთი საერთაშორისო საკითხი, რომელიც რუსეთის და მისი მოკავშირეებისათვის ინდიფერენტიული იყოს.

მასწავლებლობას მეტი ყურადღება

„ობლის კვერი გვიან ცხვება“-ო ნათქვამია. სწორედ ასე მოუვიდა ჩვენ სწავლა-აღზრდის საქმეს. სანამ რუსეთი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში იყო გახვეული და მასთან საქართველოც მოგერიებითი ომს აწარმოებდა შიგნით და გარეთ, მანამდინ პირველ მნიშვნელოვან საკითხად მიჩნეული იყო ფრონტის გაძლიერება და ზურგის გამაგრება, მაგრამ სამხედრო კომუნიზმის ხანამ განვლო, ორგანიზაციული პერიოდი დიდი გამარჯვებით ჩატარდა და საბჭოთა ხელისუფლება აღმშენებლობით მუშაობაზე გადაიდა.

აღმშენებლობითი პერიოდში უსათუოდ მრეწველობის აყვავებასა და სამეურნეო ფრონტის გამაგრებას გარდა საჭირო იყო მნიშვნელოვანი ყურადღება მიგვექცია განათლების საქმისათვის. ამის შესახებ სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტების საგანგებო მესამე ყრილობამ თავისი მედგარი ნაბიჯებით დიდ შედეგებს მიაღწია. განათლების საქმე მთელ რესპუბლიკაში დამკვრელ დარგათ გამოაცხადა. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მნიშვნელოვან დარგის, სასწავლო საქმის, სიყვარულს არ იზიარებდეს ფედერაციის სხვა რესპუბლიკებიც.

მართალია ეს დარგი ფრიად ჩამორჩენილი იყო კერძოთ საქართველოშიც, მაგრამ რუსეთის ამხანაგების საქმიანობამ ჩვენამდისაც მოაღწია. ჩვენი პარტია აამოძრავა სასკოლო საქმის ჩამორჩენილობამ. მთავრობამ იანვარში გადადგა ამ დარგში მომუშავეთა უზრუნველსაყოფად ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯები. თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარებულმა განათლების მუშაკთა ორმა ყრილობამ ნათლად დაანახვა ყრილობის წევრებს და ცენტრში მომუშავე ამხანაგებს, რომ განათლების დარგში მატერიალურად უზრუნველყოფის მინიმუმი თითქმის მიღწეულია. ამ ყრილობებმა ნათლად დაგვანახეს, რომ ადგილობრივად სწავლის წყურვილი დიდია, მოსახლეობაც იჩენს ინიციატივას და თავის ხარჯით აგებს სასკოლო შენობებს და ინახავს კიდეც მასწავლებლებს. (სენაკი-ზუგდიდი-ოზურგეთი).

ასე, რომ ამ მხრივ ინციატივა დიდია, მხოლოდ ცენტრის მტკიცე ხელია საჭირო. მე როგორც აღვნიშნე აღმშენებლობითი ხანა ბევრ შეცდომებს გამოგვასწორებინებს, მაგრამ ეს შეცდომები დარჩებიან შეცდომებად თუ ადგილობრივად არ იქნება მტკიცე და სახელმწიფოებრივი სახის მუშაობა.

მასწავლებლობა ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ დონემდე, რომ კომუნისტური პრინციპის სკოლა, განამტკიცოს. ჩვენი მასწავლებლობა სწორედ აქეთკენ უნდა იცქირებოდეს და მთელი მისი ენერგია ამისთვის უნდა ეხარჯებოდეს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მასწავლებლობა ბევრ ადგილას უკმაყოფილოა, ეწინააღმდეგება დამყარებულ და არსებულ რეჟიმს და სადღაც იცქირება, ამას ბოლო უნდა მოეღოს თუ გვინდა, რომ საერთო ფრონტზე ჩვენ ყველანი თანხმობით ვმუშაობდეთ. დღეს თანდათან მტკიცდება კავშირი ჩვენსა და მასწავლებელთა შორის, თუ ასე გაგრძელდა მომავალშიც, ეს მეტ ენერგიას შესძენს იმ ორგანოებს, რომლებიც მოწოდებული არიან სწავლა-განათლების საქმის და მის მუშაკთა უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის.

მართალია, ამდენი ხანი მასწავლებლების საშუალო ხელფასი არ აღემატებოდა ტეხნიკუმებში 2.500.000 და შრომის სკოლებში 1.810.000, მაგრამ შედარებით დეკემბერთან, როცა ზემონაჩვენებ ციფრს დაემატება 20 პროც. იანვარში მასწავლებელთა ხელფასი ძირიანათ შეიცვალა და მისი მინიმუმი საშუალოდ 6.720.000—5.376.000—4.082.000 მანეთამდე ავიდა. ამას რომ ზედმეტ გაკვეთილებისათვის გასამრჯელო დაუმატოთ, რომელიც როგორც ადგილობრივ ისე პროვინციებში ყველა მასწავლებლებს აქვთ, მივიღებთ საშუალოდ ხელფასს მასწავლებლებისათვის 11—12 მილიონ მანეთს, რაც შედარებით აუმჯობესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას. ჯამაგირების დარიგებაც თავის დროზე და წესიერად სწარმოებს ასე, რომ ეს ციფრები მაჩვენებელია თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა ხელისუფლება ღირსეულ მუშაკებზე. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ეს ბევრათ დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი ენერგიით მოჰკიდებს მასწავლებლობა ხელს თავის საქმეს, მშრომელთა სკოლის განმტკიცების საქმეს. „ობლის კვერმა“ ცოტა დაგვიანებით დაიწყო გამოცხობა, მაგრამ თუ ნაკვერცხლები არ ჩაქრა, ის საბოლოოდ გამოცხვება.

განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

მენშევიკი ნ. როჟკოვი მენშევიზმის წინააღმდეგ

მოსკოვი. 23 თებერვალი, „უწყებებში“ დაბეჭდილია მენშევიკური პარტიის თვალსაჩინო ხელმძღვანელის, ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი წევრის, როჟკოვის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „საბჭოთა რუსეთის ახალი ეკონომიური პოლიტიკა წარმოადგენს სოციალისტურ შესაძლებლობათა შეფარდების ცდას რუსეთის სინამდვილესთან. ნაყოფიერია თუ არა ეს ცდა,—ეს პრაქტიკული საკითხია და არა

წითელი არმიის 5 წლის თავის, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 2 წლის თავის და ალექსანდრეს ბაღში მუშების დახვრეტის 5 წლის თავის სადღესასწაულო წეს-რიგი

მეორე დღე,

(24 თებერვალი—შაბათი)

დაახლოების დღე და წითელ კავალერთა საპატივცემლო ზეიმი.

დღით: ყაზარმებში მიტინგები. მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწყობილ იქნება მუშათა და წითელ არმიელთა საერთო სუფრა როგორც ყაზარმებში, ისე დაწესებულებებშიაც.

საღამოთი: ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან, კავშირების გამგეობის წევრებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად. სხდომა იმართება დღესასწაულის გამო და საპატივცემოთ „წითელი დროშის“ ორდენის კავალერების, რომელნიც საჩუქრებს ღებულობენ. სამხედრო ნაწილების და წარმოებათა კლუბებში იმართება რევოლიუციონურ-სამხედრო მოგონებათა საღამოები და კონცერტები მუშათა და წითელ არმიელთა წრეების ძალებით.

მესამე დღე.

(25 თებერვალი—კვირა)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლისათვის.

თავის მოყრა ხდება წარმოებებში და დაწესებულებებში და დილის 9 საათისათვის ყველა უნდა მივიდეს იმ ადგილზე, სადაც იკრიბება რაიონი.

1-ლი რაიონი. თავის მოყრა „ნაძალადევის“ მოედანზე.

მარშრუტი: ნაძალადევის მოედანი, ჩერქეზოვის ქუჩა, კირკის ქუჩა, ვერის აღმართი, ოლღას ქუჩა და რუსთაველის პროსპექტი.

მე 2-რე რაიონი. თავის მოყრა ჩერქეზოვის მოედანზე.

მარშრუტი: ჩერქეზოვის ქუჩა, ნეკრასოვის ქუჩა, ვორონცოვის ხიდი, მადათოვის, ბარიატინსკის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი.

მე-3-მე რაიონი: თავის მოყრა კახეთის მოედანზე.

მარშრუტი: კახეთის მოედანი, ციციშვილის დაღმართი, მუხრანის ქუჩა, პუშკინის ქუჩა, თავისუფლების მოედანი, სასახლის და რუსთაველის პროსპექტი.

მე-4-ე რაიონი: თავის მოყრა ს. კ. პ. ც. კ. შენობასთან, რაიონები უნდა მივიდენ რუსთველის პროსპექტზე დილის 10 საათისათვის.

მუშათა ორგანიზაციების გამწკრივების წესი.

1-ლი რაიონი მარცხენა ფრთით სასტუმრო „ორიანტ“-თან.

მე-2, 3 და 4 რაიონები რიგზე მარცხნიდან მარჯვნივ ვერის დაღმართამდე.

დილის 11 საათზე ექვს ადგილას მოხდება ფიცის მიღება. ფიცის შემდეგ—აღლუმი.

აღლუმზე მისასალმებელ სიტყვებით გამოვლენ ამხ. ამხ. ცხაკაია, მიასნიკოვი, ორახელაშვილი, ეგოროვი, ვრაჩევი და კახიანი.

დილით: აღლუმი და სამხედრო ნაწილების მიერ ფიცის მიღება მუშათა ორგანიზაციებსა და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად. აღლუმი გაიმართება რუსთაველის პროსპექტზე, ფიცის მიღება მოხდება ერევნის მოედანზე.

თეატრებში და ცირკებში საბავშვო სპექტაკლები.

ქალაქის აღმასკომი წლის თავის აღსანიშნავად დაარსებს ღამის გასათევ სახლს უბინაო მუშებისათვის.

გასართობები:

24 თებერვალს. საღამოს: სახელმწიფო ოპერაში—საბჭოს სხდომის შემდეგ ოპერა „ფრა-დიავოლო“. რუსთაველის თეატრში—დრამა „გეგეჭკორი“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლში—დრამა „მეფის დალაქი“. ბიოგრაფები: მინიონი, კინო-პალასი, არფასტო, აპოლლო, კინო—„ზვეზდა“, კინო—„ზერკალნი“. დასაწყისი 6 საათზე.

25 თებერვალს. დილის 12 საათზე: სახელმწიფო ოპერაში საბავშვო სახლებისათვის საბავშვო წარმოდგენა „წითელი ქუდი“ და „შვიდი თხა“.

საღამოს 8 საათზე: სახელმწიფო ოპერაში—„კარმენი“. რუსთაველის თეატრში—დრამა „ცხვრის წყარო“ ქართულ ენაზე. სახალხო სახლში—დრამა „მსხვერპლი“—ქართ. ენაზე. ბიოგრაფები: მინიონი, კინო პალასი, არფასტო, აპოლლო, კინო „ზვეზდა“ კინო „ზერკალნი“, „სოლეილ“, დასაწყისი 6 საათ.

წითელი არმიის ხუთი წლის თავის და საქართველოში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების 2 წლის თავის დღესასწაულის მომწყობი ცენტრალური კომისია.

პრინციპიალური. ის შეიძლება გადაჭრილ იქნას ყველა რევოლიუციონურ—მარქსისტულ ელემენტების დახმარების და თანამშრომლობის გზით და არა ბრძოლის წესით. ხელისშეწყობა დღევანდელ მომენტში აუცილებელია ყოველი რევოლიუციონური მარქსისტისათვის. რუსეთში არსებულ რეჟიმის დამხობა გამოიწვევდა რუსეთში არა ჩვეულებრივ შავბნელ რეაქციას, აღმოსავლეთის გამოღვიძებულ ცოცხალი ძალების დამარცხებას და დიდ ზიანს მიაყენებდა ევროპის და მსოფლიო მუშათა მოძრაობას. კომუნისტური რუსეთის სიმტკიცით არსებითად დაინტერესებული არიან ევროპის არა მარტო კომუნისტები, არამედ დასავლეთის ყველა მუშები და მთელი სოციალისტური მოძრაობა. არა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ტეხნიკური დახმარება და ხელის შეწყობა—აი მოვალეობა ყოველი რევოლიუციონური მარქსისტის—არა კომუნისტისა.

შემდეგ როჟკოვი ეკითხება თავის თავს: „შეეფერება თუ არა ამ აუცილებელ ამოცანებს მენშევიკების დღევანდელი პოზიცია?“ როჟკოვი უპასუხებს კატეგორიულად: „არა“

ეკამათება რა მენშევიკური პარტიის ახალ მიმდინარეობას, როჟკოვი ამბობს, რომ მას, ძველებურ მარქსისტს, არა სწამს ბურჟუაზიულ მეურნეობის დროს სოციალისტური ხელისუფლების სიმტკიცე ხანგრძლივობა. ამიტომ არ უარყოფს რა პრინციპიალურად მრეწველობის ერთი ნაწილის კერძო კაპიტალისათვის გადაცემას (ამას არც საბჭოთა ხელისუფლება უარყოფს) ის ამტკიცებს, რომ ასეთი გადაცემას უნდა ქონდეს საკმაოთ ვიწრო და შემოფარგლული საზღვრები.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ჯანსაღი საფუძვლები მდგომარეობს არა ამ გადაცემაში, არამედ სახელმწიფოებრივ მრეწველობის ორგანიზაციაში. „აგრეთვე სრულიად ნათელია, ამბობს როჟკოვი, რომ „ფორმალურ დემოკრატიის“ მომხრენი, როგორი სუბიექტიური მოტივებიც არ უნდა ასულდგმულებდეს მათ, ობიექტიურად ხელს უწყობენ კონტრ-რევოლიუციის გამარჯვებას. დღეს ფორმალური დემოკრატია რუსეთში არა თუ წაართმევდა მუშათა კლასს გაბატონებულ მდგომარეობას, არამედ იქნებოდა ხანმოკლე სახელმწიფოებრივი ფორმა, რომელიც ძალიან ჩქარა ნამდვილ ბურჟუაზიულ დიქტატურით შეიცვლებოდა. იმ პირობებში, რომელშიაც მენშევიკებს უხდებათ მუშაობა ისინი ტყვედ ჩაუვარდებათ ბურჟუაზიულ-კოალიციონურ ილიუზიებს, რომლისაგანაც მათ აფრთხილებენ, იმიტომ რომ ბურჟუაზიასთან კოალიცია გამოიხატება არა მარტო ერთ მთავრობაში შეგნებულად მონაწილეობაში, არამედ ბურჟუაზიულ პოლიტიკის მიზნებისათვის ხელის შეწყობაში, უნებურად ბურჟუაზიულ საშუალებებით გატაცებაში, ე. ი. კონტრ-რევოლიუციონურ რეაქციონურ ტაქტიკაში“.

წითელი არმიის ხუთი წლის თავი

მოსკოვი. 23 თებერ. ოდესაში წითელ არმიელთა ფართო კონფერენციამ დაადგინა გაატაროს გარნიზონის ნაწილებში საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის პოპულიარიზაციის კამპანია. ტროცკისა და ფრუნზესადმი მისასალმებელ დეპეშაში კონფერენცია აცხადებს: „თუ მტრებს დაავიწყდათ წითელი არმიის სიმამაცე, ჩვენ მზათ ვართ მოვაგონოთ მათ ეს ყოველ მომენტში. ჩვენი თოფები გაწმენდილია და მუდამ მზათ არის ბრძოლისათვის“.

ბოგოიავლენსკის ტრესტმ (ნადეჟდინსკი) წითელი არმიის ხუთი წლის თავისათვის გადასცა მის შეფობის ქვეშ მყოფ ვერხოტურის გარნიზონს 1.500 მან. და 50 ფ. ფქვილი. შეფთა აღმასრულებელი ბიურო, ადგილებიდან წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესახებ რიგ შეკითხვების პასუხად, ურჩევს შეფებს პირველ რიგში შეძლებისამებრ მოსპონ ნაწილების მომარაგების ყველა დეფექტები. უარყონ ნაწილების საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობისათვის ინდივიდუალური საჩუქრების მიცემა და საზეიმო სადილების მოწყობა, რომელიც აუარებელ ხარჯს თხოულობს. ყოველმა შეფმა თავის ძირითად მიზნათ უნდა დაისახოს ის, რომ ამ საზეიმო დღეებში ყველა წითელ არმიელებმა და კერძოთ წითელ არმიის გმირებმა იგრძნონ მათდამი პროლეტარიატის ზრუნვა და გულითადი დამოკიდებულება.

ვოლოგდაში წითელი არმიის იუბილეს დღისათვის საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტმა გადასცა ადგილობრივ გარნიზონს 17,500 მან. და სხვა და სხვა საგნების და პროდუქტების დიდი რაოდენობა.

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა წითელი არმიის ხუთი წლის თავის შესახებ ამხ. მურალოვის მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს წითელი არმიის მნიშვნელობას პროლეტარულ რევოლიუციისათვის და გაუგზავნა მხურვალე სალამი წითელი არმიის ყველა მებრძოლთ და მის წინამძღოლს ამხ. ტროცკის.

ყირიმის ჯარის წითელ არმიელთა კონფერენციამ დაადგინა წითელი არმიის ყველა ნაწილების ერთი დღის ულუფა გადაიდოს სასარგებლოთ საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტებისა, რომელნიც იტანჯებიან ციხეებში.

ივანოვო-ვოზნესენსკი ინტენსიურად ემზადება წითელი არმიის იუბილესათვის. სამეურნეო ორგანოებმა და კოოპერაციამ გადასდო დიდი ფული დღესასწაულის მოსაწყობად.

მინსკის ყველა მუშათა ორგანიზაციები დიდის ენერგიით ემზადება წითელი არმიის იუბილესათვის. შეფებმა გადასცეს წითელ არმიელებს დიდძალი ფული დღესასწაულის მოსაწყობათ.

ალექსანდროვის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტმა გადასცა მის შეფობის ქვეშ მყოფ ბრიგადას 2,000 ფუთი ხორბალი და 1500 მან. სახალხო გემო-კვების მუშაკთა კავშირმა გადასდო ერთი დღის შრომის ხელფასი.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

ფერად ჯარები რურში.

ბერლინი. 23 თებერვ. ესსენიდან იუწყებიან საფრანგეთის კოლონიალურ პოლკის ჩამოსვლის შესახებ. პოლკი, რომელიც უპირატესად ფერადი ჯარებიდან შესდგება, დაბინავებულია ვერდენში, კუფერდრეფსა და ვილბერგში.

სანოვაგის ნაკლებობა.

ბერლინი. 23 თებერვალი. 21 თებერვალს საფრანგეთის ჯარისკაცები ამტვრევდენ მაღაზიებს და ძალით გამოჰქონდათ სურსათი. ასეთი ექსცესები საფრანგეთის ჯარების არარეგულიარულ და მცირე სურსათის მომარაგებით აიხსნება.

ბოიკოტი.

პარიზი. 23 თებერვალი. ბოხუმში მაღაროების გამგეებმა დაადგინეს ნახშირით უზრუნველყონ მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილება და არ შეასრულონ კონტრაქტები ნეიტრალურ სახელმწიფოებთან.

საფრანგეთის შინაგანი დაბრკოლებანი.

მოსკოვი. 23 თებერვ. საფრანგეთის შინაგანი დაბრკოლებანი რურის ოკუპაციის გამო თანდათან ძლიერდება. ნახშირის ნაკლებობა აიძულებს სამრეწველო წრეებს შეისყიდონ უცხოეთის ნახშირი, რაც იწვევს საერთო სიმცირეს და ფრანკის კურსის დაცემას, მსხვილი მრეწველობის ფასების ინდექსი უკანასკნელ თვეში გაიზარდა.

გერმანიის მუშების წინააღმდეგობა.

მოსკოვი. 23 თებერვალი. დორტმუნდის ერთ-ერთ მაღაროში საფრანგეთის პატრულს, რომელსაც უნდა მოეხდინა ნახშირის რეკვიზიცია, მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ პატრულმა იარაღს მიმართა. მოკლულია 15 წლის მემაღაროე.

საფრანგეთის ხელისუფლების ტერორი.

მოსკოვი. 23 თებერვ. დაკავებულ ოლქებში საფრანგეთის ხელისუფლების ტერორი გრძელდება. არის რამოდენიმე მოკლული. ესსენში გერმანელმა პოლიციელმა თავდაცვის დროს მოჰკლა საფრანგეთის ოფიცერი. რკინის გზელებს, რომელნიც მუშაობაზე უარს ამბობენ, ბინებს ართმევენ. სწარმოებს სამგზავრო მატარებლების სასტიკი ჩხრეკა. მგზავრებს ართმევენ ფული 50.000 მარკაზე ზევით.

საერთო მდგომარეობა რურში.

მოსკოვი. 23 თებერვ. ინგლისის გაზეთების ცნობით საერთო მდგომარეობა რურში დღითი-დღე უარესდება. ბოიკოტი ფრანგებისადმი გრძელდება მიუხედავათ რეპრესიებისა. რურის მდგომარეობა გავლენას ახდენს საერთო განწყობილებაზე პარიზში.

ფრანგები ინგლისის ზონაში.

მოსკოვი. 23 თებერვ. თანახმად ინგლისის ხელისუფლებასთან მიღწეულ შეთანხმებისა, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ინგლისელების მიერ დაკავებული ზონის დასავლეთი ნაწილი.

რურის გარშემო

პროფკავშირები დორტმუნდში.

მოსკოვი, 23 თებერვალი. დორტმუნდის პროფკავშირებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს სიძვირესთან შეფასებულ შრომის ხელფასის დაწესებას.

კრედიტი რურის ოპერაციისათვის.

მოსკოვი, 23 თებერვალი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში შეტანილია კანონპროექტი რურის ოპერაციისათვის დამატებითი კრედიტების გაღების შესახებ. იანვრის და თებერვლის ხარჯები დაკავებულ ოლქის სამოქალაქო მმართველობაში უდრის 5,000,000 ფრანკს, რკინის გზების მმართველობაში 60 მილ. ფრანკს.

საპროტესტო მიტინგი ქრისტიანიაში.

მოსკოვი. 23 თებერვ. ქრისტიანიაში შესდგა მრავალ-რიცხოვანი საპროტესტო მიტინგი რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყო ახალგაზრდობის კომუნისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა კავშირმა. მიტინგის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში გამოთქმულია აღშფოთება საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და მხურვალე სიმპატიები საფრანგეთის და გერმანიის კომუნისტების მიმართ.

ინგლისის მუშებმა ინახულეს რური.

მოსკოვი. 23 თებერვ. ესსენში ჩავიდა ინგლისის მუშათა პარტიის 4 წევრი, რათა გერმანიის მუშათა ორგანიზაციების საშუალებით გაეცნონ რურის ოლქის მდგომარეობას.

რურის საკითხი ინგლისის პარლამენტში

მოსკოვი. 23 თებერვ. „ვესტმინსტერ გაზეთ“-ი იტყობინება, რომ ბონარ ლოუს სიტყვამ, რომელიც მან წარმოსთქვა ინგლისის პარლამენტში რურის საკითხის შესახებ, გამოიწვია პარიზში დამაფიქრებელი შთაბეჭდილება. მისი განცხადება, რომ რურის ოპერაცია არავითარ შედეგებს არ მოიტანს, წარმოადგენს გერმანელების წაქეზებას წინააღმდეგობის გაწევისათვის. პარიზის პრესა რურის ოპერაციის მარცხში პასუხისმგებლობას აკისრებს ინგლისს.

— ლოი-ჯორჯის მიერ ამავე საკითხის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში, ორატორი მოუწოდებდა გერმანიის და საფრანგეთის მიმართ ამერიკის და ინგლისის შეერთებულ ინტერვენციისაკენ.

„მოკავშირეებმა, სთქვა ლოიდ-ჯორჯმა, უნდა აირჩიონ ორში ერთი: გერმანიიდან რეპარაციის მიღების შესაძლებლობა ან შემდეგი ძალადობის პოლიტიკა, რომელიც გამოიწვევს ევროპის ეკონომიური ცხოვრების სრულ განადგურებას.

თუ გერმანია განადგურდება, მასთან ერთად გაქრება რეპარაციის მიღების ყოველგვარი შესაძლებლობა. აუცილებელია დახმარება ამერიკის მხრივ, სადაც თავმოყრილია მთელი მსოფლიოს ოქრო და რომელიც იღრჩება ამ ოქროს სიუხვით“.

რურის საკითხის გარშემო კამათის დროს, ყოფილი კაბინეტის წევრმა ფიშერმა ასკვიტის და ლოიდ-ჯორჯის მომხრეების სახელით შეიტანა შესწორება, რომლითაც წინადადება ეძლევა ერთა ლიგის საბჭოს დანიშნოს ექსპერტების კომისია გერმანიის მიერ გადასახადის შეტანის შესაძლებლობის გამოსარკვევად და რეპარაციის მისაღებად საუკეთესო წესის გამოსაძებნად. ფიშერმა გამოსთქვა შიში, რომ გერმანიის მიერ უარის თქმა საფრანგეთის მოთხოვნილებათა შესრულებაზე გამოიწვევს რურის ხანგრძლივ ოკუპაციას.

ასეთივე აზრი გამოსთქვა კონსერვატორების წარმომადგენელმა.

დებატების შემდეგ გამოვიდა ბონარ ლოუ, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა ეთანხმება ლოიდ-ჯორჯს საფრანგეთის პოლიტიკის შეფასებაში, მაგრამ ამ ჟამად ინტერვენცია გამოიწვევს საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის მხრივ მტრულ განწყობილებას და მიგვიყვანს ანტანტის გათიშვამდე. ინგლისი თავიდან აიცილებს ყოველივე იმას, რასაც შეუძლია მღელვარება გამოიწვიოს მოკავშირეებში. ინგლისის ჯარები დარჩებიან რეინის ოლქში რაც შეიძლება ხანგრძლივად.

ახლო აღმოსავლეთში

კომუნისტური პარტიის გასამართლება.

ტრაპიზონი. 22 თებ. 20 თებერვალს დაიწყო სახალხო-კომუნისტური პარტიის გასამართლება.

საბერძნეთის სამხედრო ძალების კონცენტრაცია.

ტრაპიზონი. 20 თებ. მუდანის ხელშეკრულების მიუხედავათ, ბერძნები აგროვებენ სამხედრო ძალებს მარიცაზე.

ომი ან ზავი.

ნაუენი. 23 თებ. ანგორის ეროვნულმა კრებამ მოისმინა რა დახურულ სხდომაზე ისმეტ ფაშას მოხსენება ლოზანის მოლაპარაკების შესახებ, დაადგინა წარუდგინოს ანტანტას კონტრ-წინადადებები, რომლის მიღება ან უარყოფა გადასწყვეტს საბოლოვოთ საკითხს ომისა ან ზავის შესახებ.

ეკონომიური კონგრესი.

ანგორა. 22 თებ. სმირნიდან იტყობინებიან, რომ ეკონომიური კონგრესის სხდომა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ჯგუფები განაგრძობენ თავიანთ მოთხოვნილებათა პროექტის შემუშავებას. მუშათა ჯგუფები იხილავს სხვათა შორის საკითხს მუშათა ორგანიზაციების შექმნის შესახებ. მიწის მომქმედნი ცდილობენ მოითხოვონ აშარას შემცირება და მიმოსვლის და სოფლის მეურნეობის მანქანების შემოზიდვის საკითხების მოგვარება.

განცალკევებული ადგილი უჭირავს მსხვილ ფინანსისტების და გემების მეპატრონეების ჯგუფს. მრეწველობის ჯგუფი ზოგიერთ საკითხებში უკავშირდებიან მუშებს.

მუშებს შორის უფრო აქტიურ როლს თამაშობენ რკინის-გზელები. უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფების სხდომებზე ესწრებიან ქალებიც.

ინგლისში

ლონდონის უმუშევართა შორის.

მოსკოვი. 23 თებ. უმუშევართა მოქმედების საბჭომ დაადგინა დააბრუნოს თავთავიანთ სახლში ლონდონში შეკრებილი ყველა უმუშევრები, რადგან საჭიროა მომზადება უმუშევართა საერთაშორისო კონფერენციისათვის, რომელიც შეიკრიბება 9 აპრილს ნორვეგიაში. კონფერენციის შემდეგ უმუშევართა მოძრაობა ლონდონში მოწყობილ იქნება ხელახლად უფრო ფართო მაშტაბით.

პოლონეთის ამბები

პოლონეთის პარტიათა შორის.

მოსკოვი. 23 თებ. უკანასკნელ დროს პოლონეთის პრესაში ხვდებით შენიშვნებს პარტიების „პიასტ“-ის და „ვიზვოლენ“-ის ლიდერების მოლაპარაკების შესახებ. ამ მოლაპარაკების მიზანია ორივე პარტიის ერთ გლეხთა პარტიაში გაერთიანება. გაერთიანების მომხრე დემბსკიმ „კურიერ „ლვოვსკიში“ მკაცრი წერილით გაილაშქრა გაერთიანების მოწინააღმდეგე ვიტოსის წინააღმდეგ.

სხვადასხვა ამბები

ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიის და რუმინიის შორის.

მოსკოვი. 23 თებ. ბელგრადის პრესის ცნობით, მოსალოდნელია სამხედრო ხელშეკრულების დადება სამხრეთ-სლავიის და რუმინიის შორის ბალკანეთზე მდგომარეობის გართულების შემთხვევისათვის.

რკინის გზელების გაფიცვა ჩინეთში.

მოსკოვი. 23 თებ. ხანკსუსის რკინის გზაზე მუშების გაფიცვა ჩააქრეს ჯარებმა განსაკუთრებული ძალადობის გამოყენების გზით. დაახვრიტეს 100-დე მუშა. პეკინში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ძალადობის და დახვრეტის წინააღმდეგ.

უმუშევართა დემონსტრაც. ვარშავაში

მოსკოვი. 23 თებერვ. ვარშავში იმართება უმუშევართა მიტინგები და დემონსტრაციები. ნაპოლეონის მოედანზე გაიმართა უმუშევართა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ათასი კაცი. პოლიციამ სროლა აუტეხა ბრბოს და დააპატიმრა რამოდენიმე პირი.

მემაღაროების გაფიცვა საფრანგეთში

მოსკოვი. 23 თებერვ. საფრანგეთში მოხდა მემაღაროების საყოველთაო გაფიცვა, შრომის უნიტარული კონფედერაციის მოწოდებას გამოეხმაურენ 100,000 მემაღაროები. საგაფიცვო მოძრაობა მოედო მსხვილ ცენტრებს.

შვეციაში.

მოსკოვი. 23 თებერვალი. სახელმწიფო მოსამსახურეების მიტინგზე სტოკჰოლმში მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ჰკიცხავს მთავრობის კანონპროექტს, რომელიც მიმართულია სიძვირის გამო მომატებული ჯამაგირის შემცირებისაკენ და მაღალი მოხელეების შემოსავლის გადიდებისაკენ. რეზოლიუცია მოუწოდებს მუშა დეპუტატებს გამოვიდენ ერთიანი ფრონტით სოციალდემოკრატიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სენატორი ბორა მიემგზავრება რუსეთში.

მოსკოვი. 23 თებერ. საბჭოთა რუსეთის მეგობარს სენატორ ბორას, რომელიც წარმოადგენს ფერმერების და წვრილი ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელს, განზრახული აქვს აპრილის დასაწყისში გაემგზავროს რუსეთში.

ამხ. რადეკის მოხსენება.

მოსკოვი. 23 თებერვ. კავშირთა სახლის დარბაზში რადეკი, რომელიც გამოვიდა ვრცელი მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ დიდის ყურადღებით შეეხო რეპარაციის საკითხს, რურის ოკუპაციას და ანტანტის შლას. ბოლო სიტყვაში რადეკმა სთქვა: „ჩვენთვის რურის ამბები არის საერთაშორისო კაპიტალის ორ ჯგუფთა შორის სარგებლისათვის ბრძოლა. მაგრამ ამ ამბებში იმალება მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. რურის საკითხში გერმანიის გამარჯვებას თან მოჰყვება ვერსალის დამარცხება და გერმანიის გაძლიერება. საფრანგეთის გამარჯვება კი თან მოიტანს ვეებერთელა რკინა-ნახშირის სინდიკატის შექმნას, რომელშიც უპირატესი გავლენით ისარგებლებს საფრანგეთი. ჩვენ არაფერი არ ვიცით გერმანიის მიმართ საფრანგეთ—პოლონეთის ხელშეკრულების შესახებ. საფრანგეთის და გერმანიის ბრძოლის შემთხვევის დროს თუ პოლონეთი მიიღებს მონაწილეობას საფრანგეთის მხარეზე, ის არ მოისურვებს იყოლიოს ზურგში საბჭოთა რუსეთი და უწინარეს ყოვლისა დაგვეცემა ჩვენ. ამიტომ ჩვენი ამოცანაა—გავხადოთ წითელი არმია ძლიერი.

ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოთ.

მოსკოვი. 23 თებერვალი. ვარაუდი გამონაგარიშებით მოსკოვის ტეატრებში შეგროვილია ომში დასახიჩრებულთა სასარგებლოდ დაახლოებით 28,000 მან., რომელიც გადაეცა ავათმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელთა დამხმარე კომისიას დასახიჩრებულთა სახლების გასაუმჯობესებლად.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ახალი გადასახადები. აზერბეიჯანში ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან არსებული გადასახადთა სამმართველო იწყებს მუშაობას 1923 წლისთვის შემოსაღებად: 1) საეზოვო და ქონების კვალობითი გადასახადის აზერბეიჯ. ს. ს. რესპუბლიკის სოფლებში, 2) შემოსავლის და ქონების კვალობითი გადასახადის აზერბეიჯ. ს. ს. რესპუბლიკის ქალაქებში. პირველი გადასახადი განაწილებული იქნება იმ მიწების რაოდენობის და ხარისხის მიხედვით, რომლითაც სარგებლობს ესა თუ ის სასოფლო საზოგადოება და აგრეთვე საქონლის, ოჯახის წევრთა რაოდენობის როგორც სახლის პატრონის, ისე მისი ოჯახის წევრთა შემოსავლის მიხედვით. გადასახადი გატარებულ იქნება თებერვალში და მარტში სამაზრო კომისიების მიერ. შემოსავლის და ქონების კვალობითი გადასახადი ქალაქებში აკრეფილ იქნება ორჯერ წლიწადში. ამ გადასახადს გადაიხდიან მოქალაქენი და ყოველგვარი საზოგადოებანი, რომელთაც აქვთ შემოსავალი: 1) სავაჭრო-სამრეწველო და საკრედიტო წარმოებებში მონაწილეობით მესაკუთრის, მფლობელის, თანამფლობელის, მოიჯარადრის, მეპაიეს სახით, და საერთოდ ყოველგვარ სახელოსნო პროფესიიდან და ვაჭრობიდან, იჯარიდან, შუამავლობიდან, კომისიონერებიდან, ექსპედიტორობიდან, საბირჟო და საკრედიტო ოპერაციებიდან; 2) ქალაქებში სახლებიდან და სხვა ქონებიდან და ამ სახლების და ქონების კომერციული ექსპლოატაციის მიზნით იჯარით აღებიდან; 3) ფულის თანხებიდან, საპროცენტო და დივიდენდის ქაღალდებიდან, 4) თავისუფალი პროფესიიდან — პრაქტიკაზე მომუშავე ექიმები, ტეხნიკოსები, ვექილები, მსახიობები, ლიტერატორები და სხვ., 5) დაწესებულებებში და წარმოებებში სამსახურის ჯილდოთ მოცემულ ხელფასისა და ჯამაგირისაგან, რომელიც განსაზღვრულ რაოდენობას აღემატება. ეს გადასახადი იწყება 120,000 მანეთ შემოსავალზე ნახევარ წელში იზრდება პროგრესიულად. სახელმწიფო კოოპერატიული და შერეული საზოგადოებანი გადასახადს გადაიხდიან განსაკუთრებული კანონის მიხედვით. მოძრავი ქონებაზე, რომლის ღირებულება აღემატება 1 მილ. მანეთს, დაწესებულია ქონების კვალობითი გადასახადი, რომლის პირველი განაკვეთი უდრის 1,500 მანეთს 1922 წლის ფულის ნიშნებით. ეს გადასახადი შემოღებულ იქნება აპრილიდან.

განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობა

(მესამე დღე. მეხუთე სხდომა).

საღამოს, ყრილობის მეხუთე სხდომაზე მოხსენებას აკეთებს სატარიფო პოლიტიკის შესახებ საქ. პროფკავშირთა საბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილების გამგე ამხ. რუბცოვი. მომხსენებელი ვრცლად შეეხო აღნიშნულ საკითხს, რამაც გამოიწვია ცხოველი კამათი. ილაპარაკა თითქმის ყველა დელეგატმა. მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) გადათვალიერებულ იქნეს ძირითადი საშუალო კატეგორიის ქსელი და მიღებულ იქნეს საშუალო კატეგორიათ ნაცვლად 11-სა მე-12-ტე კატეგორია; 2) ხელფასის ძირითადი თანხა უნდა გადასინჯულ იქნეს, რისთვისაც ეთხოვოს პროფ. კავშირის საბჭოს, რომ დეკემბრის ჯამაგირების მიხედვით იანვრის ჯამაგირები გადიდებული იქნეს 130 პროცენტით, ხოლო თებერვლისა—200 პროცენტებით; 3) ეთხოვოს უზენაეს ორგანოებს, რათა გადამუშავების თანხა 14 პროც. გადიდებული იქნეს 20 პროც. ძირითადი ჯამაგირების მიხედვით. ამ დადგენილების ცხოვრებაში დაჩქარებით გასატარებლათ არჩეული იქნა კომისია შემდეგი შემადგენლობით: განათლების კომისარი ამხ. დ. კანდელაკი (თავმჯდომარეთ), წევრებათ: ამხ. ამხ. მარიამ ორახელაშვილი, შ. გეგენავა, პ. ბახტაძე, ვ. ქობულია და პ. პაატაშვილი.

(მეოთხე დღე. მეექვსე სხდომა.)

ამხ. მამულაიშვილის მოხსენება.

განათლების კომისარიატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო მთავარ-მმართველობის გამგე ამხ. ე. მამულაიშვილი აკეთებს მოხსენებას საფინანსო-საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

„უნდა მოგახსენოთ ამხანაგებო, რომ ორგანიზაციულ ხანამ ჩვენ მუშაობაში უკვე დიდი ხანია რაც განვლო, დღეს ჩვენ გეგმურ მუშაობის წინაშე ვდგევართ, დღეს ჩვენ აღმშენებლობით ხანაში ვართ და ამიტომაც საჭიროა მეტი სიფრთხილით მოვეპყრათ საქმეს და გეგმური მუშაობა ჩვენ საქმეში არ უნდა დაგვავიწყდეს. ამდენი ხანი სახ. კომისარიატს არა აქვს თავისი მაგარი გეგმა, რადგან ამის შემუშავება და გატარება დამოკიდებული იყო თვით თქვენზე, განათლების განყოფილების გამგეებზე. პერიფერიამ ვერ შეკრა მტკიცე კავშირი ცენტრთან. თქვენ რომ გადაათვალიეროთ საბიუჯეტო სისტემა, მაშინ დაინახავთ, რომ ამ დარგში ჩვენ არაფერი გვაქვს გაკეთებული, რადგან მაგარი შტატი არა გვაქვს. ნოემბრის და დეკემბრის უწყებები რომ გადაათვალიეროთ, მაშინ თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რა დიდი განსხვავება არსებობს ბიუჯეტსა და იმ წარმოდგენილ ცნობათა შორის, რომელსაც თქვენ გვიგზავნით უწესოთ და ყოველ სისტემას მოკლებულს.

შაბათს, ა. წ. 24 თებერვალს,

სახელმწიფო ოპერის შენობაში

შესდგება

ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდ

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების და კავშირების
თველოების მონაწილეობით.

დღის წესრიგში სდგას:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 2 წლ
—ამხ. **ორახელაშვილის** მოხსენება.
2. წითელი არმიის 5 წლის თავი—ამხ. **ვრაჩევის** მოხსენება.
3. წითელი კავალერების საპატივცემლო ზეიმი და მათ დასაჩ
სხდომის შემდეგ სპექტაკლი. სხდომა დაიწყება საღამოს 6 საათ

ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

შაბათს, 24 თებერვალს, საღამოს 5 საათზე შესდგ

საქართველოს კომპარტიის ცეკას საორგანიზ

კოლეგიის სხდომა

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები,

1. საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო სტრუ
შესახებ!
2. საწევრო გადასახადის შესახებ.
3. მოხსენება აღმრიცხველ განმანაწილებელ განყოფ
მოსკოვის თათბირის შესახებ.
4. მიმდინარე საქმეები.

საქართველოს კომპარტიის საორგანიზაციო განყოფილებ

მართალია, ჩვენ რომ მხოლოდ განათლების კომისარიატიდან ვიყოთ დამოკიდებული ფინანსიურათ, მაშინ თქვენ საბიუჯეტო უწესოების გასწორებას შეიძლება ჩვენი დახმარებით ბოლო მოეღოს, მაგრამ როგორ გინდათ თქვენ გადაგვარჩინოთ იმ საყვედურებს, რომლებსაც თქვენი შეცდომების გამო ჩვენ ვიმსახურებთ იმ უმაღლეს ორგანოების წინაშე, საიდანაც თანხას ვიღებთ, ან კიდევ უარესი, როგორ უნდა მოვიქცეთ იმ ორგანოს წინაშე, რომელიც ბიუჯეტს ადგენს. მას, საბიუჯეტო კომისიას, კავკასიის ფინანსიურ კომისარიატთან არსებულს, თავისი გეგმა აქვს, ის კანონის მოყვარული და აღმასრულებელი ორგანოა, ამიტომ თუ მას მივეცით არასწორი ბიუჯეტი ან დროზე ვერ წარვადგინეთ ის,—შეუძლიათ ძალიან დაგვსაჯონ—და შემდეგ, ამხანაგებო, ამის გამოსწორება ძნელი იქნება.

ბიუჯეტი უნდა შედგეს ორი ნაწილისაგან: შემოსავლის და გასავლის ხარჯთაღრიცხვა.

ვინაიდან სახ. განათლების კომისარიატში არ არის მის წარმოებათა და დაწესებულებათა შემოსავლის ცნობები 1922 წლისა და აგრეთვე 1923 წლის პირველ მეოთხედისა, ჩვენ იძულებული ვიყავით შეგვედგინა გასავლის ანგარიშების ხარჯთ-აღრიცხვა უწყების მიხედვით.

ეს არის დიდი დეფექტი, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს კრედიტის სრულიად მოსპობა. გასავლის ანგარიშების ხარჯთ-აღრიცხვა 1922 წლისათვის იყო დაყვანილი 285 მილიარდამდე, მაგრამ ის შემცირებულ იქნა მთავრობის მიერ 167.624.000.000 მანეთ. (მივიღეთ მხოლოთ 135.856.513.142 მან.) ჩვენ ვერც ეს მინიმალური კრედიტი გამოვიყენეთ ხაზინაში ფულის ნიშნების უქონლობის გამო და 1 იანვრისათვის კრედიტის დახურვის შემდეგ ვიშუამდგომლეთ სპეციალურ თანხის შესახებ ჩვენი 1922 წლის დავალიანების დასაფარავად. მივიღეთ მხოლოდ 24.000.000.000 მან. მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად მოთხოვნილი გვქონდა 976.855 მან. 37 კ. ოქროთი, 1-ლ ნოემბრის მანეთის კურსის მიხედვით, მაგრამ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მაშინვე გამორიცხა ჩვენ მოთხოვნილ თანხიდან: 1) 93.112 მან. 37 კაპ. ოქროთი სახელმწიფო გამომცემლობის მიერ შემოსულ ხარჯთ-აღრიცხვის წარუდგენლობის გამო, 2) სამგზავრო ხარჯები ორ მილიარდის მაგიერ შემცირებული იქნა ერთი მილიარდით და 3) მივლინების ხარჯები შემცირებულ იქნა 600.000.000 მანეთ. 260 მილიონამდე.

ამგვარათ, ფინანსთა კომისარიატმა გაუშვა ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვა მხოლოდ 774.920 მან. 91 კაპ. ოქროთი, მაგრამ ეს ჯამიც შეიძლება ძალიან შემცირდეს. ხარჯთ-აღრიცხვა უნდა იყოს შემდგარი მხოლოდ სწორი და მაგარი შტატის მიხედვით და მაშინ შეიძლება გადავლახოთ ის დაბრკოლებანი, რომელიც მატერიალურათ ძლიერ აფერხებენ ჩვენში განათლების საქმეს.

რაც იყო აქამდე, ამას შემდეგ არ უნდა განმეორდეს.

აქვე მინდა გაჩვენოთ ხარჯთ-აღრიცხვის ფორმა, რომელიც შემუშავებულია სახ. გან. კომ-ის ფინანსიურ განყოფილების მიერ და რომლითაც უნდა იხელმძღვანელოთ წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს.

კომისარიატს აქვს ორი შემოსავლის წყარო—20 პროც. სწავლის ფულის გადასახადისაგან და ფინანსიურ კომისარიატისაგან მიღებული კრედიტი. სრული ანგარიში თავის გასამართლებელ საბუთებით ამ ფულების დახარჯვის შესახებ რეგულიარულად უნდა მოდიოდეს კომისარიატის საფინანსო განყოფილებაში და მაშინ ექნება ჩვენ მუშაობას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა და საქმეც წესიერად წავა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება, თუ სად გვაქვს ფული და რას სად ვხარჯავთ.

არის კიდევ ასეთი შემთხვევები, როცა აქედან ფული იგზავნება განათლების განყოფილებების სახელზე თავიანთ ხარჯების დასაფარავად, მარა ამას გან. განყოფილებები ვერ ასრულებენ და აქ როცა ჩამოდიან ჩვენგან ცალკე მიაქვთ სამგზავრო ხარჯები და სხვა,

ორმაგი თანხის მიღება არ
განმეორდეს მომავალში.
მეორე მხრივ ხშირათ ემჩნე
მუშაობას, რომ საფინანსო
არ სრულდება ის ცირკულ
რომლებიც ცენტრიდან იგზა
და ასეთი უყურადღებობა იწვ
მეტ ხარჯებს, რომელიც
ხებს ჩვენივე უწყებრივ

სიურ პოლიტიკას. მაგა
ჩვენ წასულ წლის ერთ-ერთ
დროზე ფულის ნიშნები არ
ხაზინაში. დავაგზავნეთ დეპე
ლა მაზრებში, რომელიც 5 მ
დაგვიჯდა, რომ ცოტა და
ჩამოსულიყვნენ ამხანაგები,
მათ არ შეასრულეს. აი ასეთ
ფაქტები მრავალია, რომელი
ცებს, რომ ჩვენ ისედაც მც
ჯეტს თქვენ ანგარიშს არ უწ
არ გვქონდა სრულებით ინ
ცია, თუ რა ხდებოდა მაზრ
ნათლების მხრივ, ცნობები
შემოსული კომისარიატში, რო
გარიშებს გაზეთებში ვკითხუ
(სენაკი-ფოთი) და როცა ჩვენ
ვკითხულობდით გაზეთებში
ნაგები გვეკითხებოდნენ ას
განყოფილებების მუშაობაზე
ბის ცნობების მიხედვით, ჩვე
ლებული ვიყავით უარყოფ
ხი გაგვეცა, რადგან ჩვენი
მგებელი წარმომადგენელი
რივ ცნობებს არ გვაწვდიდ
ში (საინფორმაციო ნაწილ
[illegible]
სტიკის მხრივაც, რაიც ჩვენ
ლებას არ გვაძლევდა სწორ
გვერკვია სკოლებისა და მ
ბელთა ჩვენ ხარჯზე შესანახ
ამის შემდეგ ამას ბოლო
ღოს, ყოველივე ცვლილებ
ეცნობოს განათლ. კომისარ
სტატისტიკური მასალაც
სებულ იქნეს საანკეტო ბა
ხედვით, რომელიც ფრიად
ლად არის დამუშავებული.
ამგვარათ, ფინანსიურ სა
დახარჯულ ჯამის კონტრო
რათ დაყენებისათვის საჭირ
თქვენ (გან. განყოფილებებ
თხოვოთ: 1) სწავლის ფულ
სახადის 20 პროცენტის წა
განათლების კომისარიატში
უგვიანეს ორი თვისა დღიდ
მიღებისა წარმოდგენილ
გასავალ ხარჯების ანგარი
მართლებელ საბუთებით და
თვიურად წარმოდგენილ
სამეურნეო ხარჯების ანგა
მელიც გადატანილია ად
აღმასკომის ხარჯზე. (80 პრ
ლის ფულის გადასახადი
3) ჯამაგირების გასაღები
პირველათ და უკანასკნელ
წარმოდგენილ იქნეს თავი
მაგარ დაწესებულ შტატით
მული თანხა უნდა გადიო
პირს დანიშნულებისათვის
ნილი კი უნდა ბრუნდებო
გან. კომისარიატის სალარ
სხვა ხარჯებს ხმარდებოდ
ნეო და სხვა).
ამგვარათ, მე გთხოვთ
განყოფილებებმა, თუ გვ
ჩვენ შორის დამყარდეს
ტაქტი და მუშაობა ნაყოფ
უსათუოდ ანგარიშის და
წარმოდგენას უნდა მიაქც
ყურადღება.
უკანასკნელად ერთი სა
ტო საკითხი. ეს ადგილობ
სკომსა და გან. განყოფი
რის დამოკიდებულებაა.
ეს საკითხი ყოველთვ
იყო და თუ ყურადღება
ციით, შეიძლება მომავ
გაუგებრობა თავიდან
ლოთ.
საქმე იმაშია, რომ ხში
კომები ხდებიან განათლე
ფილებების ბატონ-პატრონ
ნათლ. განყოფილებების
ხშირათ მრავალ ადგილ
თვით ინიციატივის უფლ
დამოკიდებულება პირდ
უნდა გამოირკვეს ფულ
თანხა, რომელსაც თქ
იღებთ, უნდა ირიცხებოდ
ყოფილ. სახელზე ადგილ
ნაში ხელუხლებლათ, რის
უკვე თანხმობა მივიღე
კომისარიატის საქართვე
ბულისაგან. ადგილობრივ
დან გადადებული სამეუ
ბის თანხა უნდა ინახებ

ლობრივ ხაზინაში მიმდინარე ანგარიშზე თქვენ სახელზე. უსათუოდ გან. განყოფილების შტატი ადგილობრივ პირობების და მოთხოვნილების მიხედვით უნდა განისაზღვროს და მინიმუმი—ტიპი—შტატის უნდა გამომუშავდეს თითეულ გან. განყოფილებისათვის, დამტკიცებული გან. კომისარიატის მიერ და ადგილობრივ აღმასკომის ხარჯზე მიჩნეული.

გან. განყოფილების გამგე ადგილობრივ უნდა აღიარებულ იქნას პასუხისმგებელ მომუშავედ, რომ ის ერთგვარი მინიჭებული ინიციატივით ადგილობრივ აღმასკომს აძლევდეს გეგმას სასკოლო მუშაობის შესახებ.

აი, ამხანაგებო, ის საკითხები, რომლებითაც დღეს თქვენ წინაშე გამოდის განათლების კომისარიატი და, უეჭველია, ამას ყურადღებას მიაქცევთ, რათა მომავალში გაუგებრობას და უსიამოვნობას ადგილი არ ექნეს, რათა უფრო ნაყოფიერად და ინტენსიურად ჩავატაროთ მუშაობა სასკოლო აღმშენებლობით ხანაში“.

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა საქართველოში 1922 წ.

(ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს სასოფ. სამეურ. განყ. ცნობებით).

ზორაპნის მაზრა. ზაფხულის ამინდი საზოგადოთ სასოფლო-მეურნეობისთვის საშუალო იყო; ტემპერატურის მიხედვით ზომიერი, წვიმა საკმაოდ მოდიოდა, ძლიერი ქარები არ ყოფილა, მხოლოდ ზოგ ადგილებში იყო სეტყვა და გვალვა, შემოდგომის ამინდიც ტემპერატურის, ნალექების და ქარის მიხედვით ამ გვარათვე ხასიათდება, როგორც ზაფხულის ე. ი. იყო საშუალო; მხოლოდ თითქმის მთელ მაზრაში ჰქონდა ადგილი ნიაღვარს.

მემინდვრეობა, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ სიმინდის და იშვიათად პურის თესვით, ნიაღვრისაგან მეტად დაზიანდა, სახელდობრ თითქმის ორი მესამედი სიმინდის ნათესებისა. მიუხედავათ ამისა მოსავლის აკრეფა თავის დროზე დაიწყო და შედეგიც საშუალო მოიტანა. პურის მოსავალი, როგორც გაზაფხულის, აგრეთვე შემოდგომის მდარე მოვიდა. მავნებლებს არ მიუყენებიათ საგრძნობი ზიანი ნათესებისათვის; ყოფილა თითო-ოროლა შემთხვევა, მინდვრის თაგვის, დათვის და ზოგიერთ ფრინველისგან, ნათესის დაზიანებისა, მასიური ხასიათი კი არ ჰქონია.

მევენახეობა მაზრაში განვითარებულია. ხშირმა წვიმამ, ნისლმა და ზოგიერთ შემთხვევაში ყინვამაც დააზიანა ვაზი და ჩამოიყვანა მოსავალი მინიმუმამდინ. გასულ წელს გარდა ამისა საწამლავ მასალის (შაბიამან-გოგირდის) უქონლობის და სიძვირის გამო, ხალხს არ ჰქონდა საშუალება მომარაგებინა იგი და ეწამლებია ვაზებისთვის, რის გამოც გავრცელდა ვენახებში ობი (ოიდიუმი) და ჭრაქი (მილდიუმი), გაფუჭდა მთლად ყურძენი და მოსავალიც მთელ მაზრაში ცუდი იყო.

მეხილეობა, როგორც აგეთი არ არის გავრცელებული და არცა აქვს სამრეწველო ხასიათი. რადგანაც მეხილეობის წესები, მოვლა-წამლობა, მცხოვრებლებმა კარგათ არ იციან, მავნებლები აზარალებენ ხეხილს. აღნიშნულ წელს ხილის მოსავალი ცუდი იყო.

მებოსტნეობას ცალკე არ მისდევენ; სთესავენ ლობიოს და ზოგან კართოფილს სიმინდში და ზოგიერთ მწვანილეულს ბაღებში. მოსავალი ლობიოსი და კართოფილის საშუალოზე მდარე იყო. ხახვის და მწვანილის კი საშუალო.

თამბაქოს სთესავენ საკუთარ საჭიროებისათვის ცოტას. მოსავალი საშუალო იყო.

მაზრაში საკვებ ბალახების თესვას არ მისდევენ; არის აქა-იქ ბუნებრივი სათიბები, რომლებიც ითიბება ერთხელ, იშვიათ შემთხვევაში ორჯერ. თივის მოსავალი საშუალოზე უკეთესი იყო.

მეფუტკრეობის პირობები არ იყო ხელსაყრელი. ფუტკარი დაზიანდა როგორც ამინდისგან (წვიმა, სეტყვა), აგრეთვე ავადმყოფობისგან, სახელდობრ სიმყაყისგან. თაფლის და სანთლის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო.

მეაბრეშუმეობის პირობები საშუალო იყო, მხოლოდ მცხოვრებლებმა თესლი ვერ შეიძინეს დროზე. ბევრს კი კერძო პირებისგან ნაყიდი თესლი ცუდი გამოადგა, რისგანაც გავრცელდა ავადმყოფობა—სიყვითლე, ჭიას არ დააცალა პარკის გაკეთება და დახოცა. მოსავალი და პარკის გასაღების პირობები ცუდი იყო.

მესაქონლეობა არ არის გავრცელებულ-განვითარებული და ის ცოტა საქონელიც, რომელიც ჰყავთ უცოდინარობისა და უექიმობის გამო მეტად დაზარალდა სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან, როგორც „ჭიჭინა“, „ხუზარა“ და სხ. ჭირისაგან დაზარალდა უმთავრესად ხარი და ძროხა. საქონლის შენახვის პირობები, როგორც ადგილობრივ, აგრეთვე საზაფხულო საძოვრები ცუდი იყო. საზამთროთ კი მცხოვრებლები უზრუნველყოფილნი არიან საკვებით საქონლისათვის.

საზოგადოთ გასული წელი მაზრის სასოფლო-მეურნეობისთვის საშუალო იყო, მხოლოდ საჭიროა მთავრობის მიერ დახმარება იმ ნაკლის შევსებით, რომელიც ემჩნეოდა გასულ წელს, სახელდობრ ვენახის საწამლავ შაბიამან-გოგირდის, საბრეშუმო სადგურიდან შემოწმებულ თესლის მიწოდებით, აგრეთვე აგრონომიულ და ვეტერინარულ დახმარების სახით, რაც თქმა არ უნდა შეუმსუბუქებს, გაუადვილებს მცხოვრებლებს შრომას და იმისთანა სამწუხარო შემთხვევებს აღარ ექნება ადგილი, როგორც მაგალითად, აბრეშუმის თესლის უვარგისობის გამო მაზრაში მთლად დაიღუპა პარკის მოსავალი და მცხოვრებთა შრომამ უქმად ჩაიარა.

(დასასრული იქნება)

პარტიული ცხოვრება

დღეს, 24 თებერვალს, ნაშუადღევს 4 საათზე ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის შენობაში შესდგება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის

ახალი შემადგენლობის სხდომა

სავალდებულოა კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **მიხ. კახიანი.**

3 მარტს, 1923 წელს

მოწვეულია გურიის მეოთხე სამაზრო

პარტკონფერენცია

დღის წესრიგი:

1) საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.
2) სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3) მოხსენება ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობის შესახებ.
4) მიწის საკითხი.
5) დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის მოხსენება.
6) მიმდინარე კითხვები.
7) სამაზრო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების არჩევნები საქ. კომპარტიის მე-2-რე ყრილობაზე.

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ (ხელის მოწერა).

თელავის მაზრა

იყალთოს რაიონში:

პირველ დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე 1922 წ. გენერალურ გამწმენდ კომისიის ჩამოსვლამდე იყალთოს რაიონში იყო სულ 5 კომიაჩეიკა. წევრები ირიცხებოდა 73 კაცი კანდიდატი 22. გამწმენდ კომისიის შემდეგ იყალთოს რაიონში არის სულ 3 კომიაჩეიკა: ქისტაურის, ზემოხოდაშნის და რუისპირის. ქისტაურის კომიაჩეიკაში № 6 ირიცხება სულ 9 წევრი, ზემოხოდაშნის კომიაჩეიკაში № 4 ირიცხება 12 წევრი, რუისპირის კომიაჩეიკაში № 5 ირიცხება 11 წევრი. გარდა ამისა დაარსებულია თემკომები ორ ადგილას: ზემოხოდაშნის თემკომში შედის ქისტაურის და თვით ზემოხოდაშნის, იყალთოს თემკომში კი მარტო რუისპირის კომიაჩეიკა; სასურველია იყალთოს თემკომი შეუერთდეს ზემოხოდაშნის თემკომს: სხდომები კომიაჩეიკებში ტარდება ყოველ კვირაში ერთხელ. სხდომებზე ყველა კომიაჩეიკის წევრები ღებულობენ მონაწილეობას, დეკემბრის პირველ რიცხვიდან 31 დეკემბრამდე სულ არის ჩატარებული 12 სხდომა გამოსაძიებელი საქმეები სამაზრო პარტკომიდან გადმოცემულები 3, მიტინგები 2. ჩატარებულია კომიაჩეიკებში შემდეგი კომპანიები: 1) კოოპერაციაზე, 2) ფედერაციაზე, 3) დამშეულთა დამხმარე კომისიაზე და სხვა.

ყოველივე კომიაჩეიკის სხდომაზე იკითხება პოლიტიკური ანბანი და ეცნობა შინაარსს დაწვრილებით ყველა კომიაჩეიკის წევრები. აგრეთვე დაწყობილია წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია და ყოველივე წერა-კითხვის არა მცოდნე ამხ. დაიარებიან სასწავლებელში. დაწყებულია ქალთა შორის მუშაობა, მარტო იყალთოში არის დაარსებული ქალთა ორგანიზაცია და ირიცხება 11 წევრი ახლო მომავალში იმედია დაარსდეს ზემოხოდაშენში და ოჟიოში.

იყალთოს რაიონში სიმშვიდეა, ბანდიტებს ადგილი არ აქვთ. არის აგრეთვე დამხმარე იაჩეიკის ჯგუფი თანამგრძნობთა ს. იყალთოში, ირიცხება სულ 10 წევრი, რომელიც გადაკეთდა მარქსისტულ წევრათ.

წინანდლის რაიონში:

წინანდლის რაიონში არსებობს 2 შეერთებული იაჩეიკა, რაოდინობა პარტამხანაგობისა უდრის 32 ამხ. ხოლო დეკემბერში ჩამოაკლდა ერთი ამხანაგი, რომელიც ბანდიტების მიერ იქნა გატაცებული. რაც შეეხება მუშაობას იაჩეიკებში ყოველ კვირაში ერთხელ მოხსენებას აკეთებს რაიინსტრუქტორი სხვადასხვა ხასიათის კითხვებზე. მაგალითად ანტირელიგიურ პროპაგანდაზე, თესვის მნიშვნელობაზე, წითელ ფლოტზე და წითელ არმიაზე, კოოპერაციაზე და სხვა აგრეთვე წინანდლის რაიონში არსებობს უპარტიო მარქსისტული ჯგუფი, რკინის გზის სადგურთან, რომლის წევრთა რიცხვი უდრის 15 ამხ. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. თანამედროვე საჭირ-ბოროტო კითხვებზე და საერთო პოლიტიკურ ცოდნის შესაძენათ. ოთხ თემში ოთხი სამკითხველო არსებობს, სადაც სისტემატიურათ ვღებულობთ: ჟურნალ-გაზეთებს და ვავრცელებთ პარტიულ და უპარტიო მასაში სამკითხველოს გამგის დახმარებით. შემოღებულია ხმა მაღლა კითხვის სისტემა უქმე დღეებში.

ფშავლის რაიონში:

ფშავლის რაიონში არსებობს სამი იაჩეიკა ლაფანკურის, ალვანის და ფიჩხოვანის. სულ წევრთა რაოდენობა უდრის 33 ამხ. მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურად, ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით. იაჩეიკაში გადიან კოვალენკოს „პოლიტ-ანბანს“. ისმებოდა კითხვა ერთიანი ფულის ნიშანზე, წითელ ფლოტზე, წითელ არმიაზე, დასავლეთ საქართველოში დაზარალებულთა დახმარებაზე, მიწის რეფორმაზე, თესვის კომპანიაზე და სხვა.

ხსენებულ კითხვებს იაჩეიკებში ჩატარების შემდეგ ვატარებდით მიტინგებზე,

ყვარელის რაიონში:

ყვარელის რაიონში არსებობს 6 იაჩეიკა, სადაც ირიცხება 54 წევრი. მუშაობა იაჩეიკებში უკანასკნელ დროში ცოტა მოდუნებული იყო ძველი ინსტრუქტორის მოხსნის და ახალის დანიშვნის გამო. (ეხლა ეტყობა გამოცოცხლება მუშაობას).

ქალაქ თელავში:

ქალაქ თელავში არსებობს გაერთიანებული ქალაქის იაჩეიკა, სადაც ირიცხება 42 წევრი, აქ დიდი ხანია რაც მოსპობილია პოლიტ-უცოდინარობა და ეხლა მეცადინეობენ მარქსისტული ლიტიტატურაში.

თელავის მაზრის პარტ-ორგანიზაციები, განსაკუთრებით თემების, არ იძლევა ახალ-ახალ აქტიურად მომქმედ-ძალებს, გარდა ქ. თელავის ორგანიზაციისა,

ი. კიზირია.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბაზარზე.

22 თებერვალი.

საქონლის ბაზრის ფასები, დაახლოვებით, შემდეგია:

ყუბანის ფქვილი 850—900. ფქვილი „კრუპჩატკა“ 960—1000. „სეიანკა“ 750—800. ადგილობრივი ფქვილი 460—480.

სიმინდის ფქვილი თეთრი 360—380. სიმინდის ფქვილი, ყვითელი 320—350. ყუბანის ხორბალი ფუთი 380—410. ადგილობრივი ხორბალი 320—350. სიმინდი 240—250. ქერი 280—300. შაქარი, რაფინადი, ჰოლანდიის და ჩეხის 5.900. ფხვნილი შაქარი, უცხოეთის და რუსული 3.400. სახარინი ფრანგული, კილო 46 ოსმალური ქაღალდის ლირა. აკულინის ბრინჯი 2.300—2.500. ქვა-მარილი 550—570.

სპარსეთიდან ბამბის იმპორტის შესახებ.

საბაჟო-სატარიფო კომიტეტს მიცემულ აქვს უფლება, რუსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარიატთან შეთანხმებით ნებართვის მიცემაზე, სპარსეთიდან ბამბის ჩამოტანის შესახებ აზიურ ტარიფის ბაჟის გადახდით. ეს ბაჟი უდრის—20 კაპ. ფუთი—ბრუტტო.

საბაჟოთა საერთაშორისო კონფერენცია.

ერთა ლიგის ეკონომიურმა განყოფილებამ მოამზადა საბაჟოების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისათვის წინასწარ მუშაობის გეგმა. კონფერენცია მოწვეული იქნება 1923 წლის 15 ოქტომბერს. იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც სურთ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, წინადადება მიეცემათ შეისწავლონ სპეციალისტ-ექსპერტების დახმარებით გეგმაში აღნიშნული საკითხები.

გარდა ამისა, შეკრებილი იქნება სხვა და სხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო წრეების აზრი.

საფონდო ბირჟის გახსნა

22 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა საფონდო საქონლის ბირჟა. დაესწრენ სახელმწიფო სამეურნეო ორგანოების, სხვა და სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები და აგრეთვე უცხოეთის მისიების და სავაჭრო ფირმების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ჩხენკელმა, რომელმაც აღნიშნა ბირჟის არსებობის მნიშვნელობა დღევანდელ ეკონომიურ პირობებში რეგულიარულ სავალიუტო საქონლის ოპერაციების საწარმოებლად, რაც დიდ გავლენას მოახდენს მანეთის სტაბილიზაციაზე. ბირჟა არის მოწესრიგებული ვაჭრობის ბაზა და გაუმჯობესებული კომერციული აპარატი, რომელიც იქნება გამომხატველი საქონლის და ვალიუტის მოთხოვნილება—მიწოდებისა და ამით წინააღმდეგობას გაუწევს შავ ბირჟას. ბირჟა იქნება ყველა დიდ სავაჭრო ცენტრების—უმთავრესად კი აღმოსავლეთის ბაზრის შემაერთებელი ორგანო.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. საფარიანმა, რომელმაც აღნიშნა ბირჟის არსებობის მნიშვნელობა ფინანსიურ და საკრედიტო დაწესებულებათათვის.

შემდეგ მიესალმენ სახელმწიფო ბანკის, სახალხო ბანკის და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს წარმომადგენლები. უკანასკნელმა აღნიშნა, რომ მუშათა კლასი უმთავრესად დაინტერესებულია რესპუბლიკის ფინანსიურ გაჯანსაღებით.

სხდომა დაიხურა ნაშუადღევის ორ ნახ. საათზე.

მუშათა ცხოვრება

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა: ვინ აწესებს და საზღვრავს კოლლექტიურ ხელშეკრულების ვადას?

პასუხი: განსაზღვრულ ვადას, რომლის განმავლობაში იდება კოლექტიური ხელშეკრულება, აწესებს შრომის სახალხო კომისარიატი.

კითხვა: შესაძლებელია თუ არა, კოლექტიური ხელშეკრულების დადება სიტყვიერი ფორმით?

პასუხი: არა. კოლექტიური ხელშეკრულება აუცილებლად უნდა იყოს დაწერილი და შრომის კომისარიატის სათანადო ორგანოს რეგისტრაციაში გატარებული. მასთან შრომის სახალხო კომისარიატს აქვს სრული უფლება სავსებით ან ნაწილობრივ გააუქმოს და გამოცვალოს კოლექტიური ხელშეკრულება, თუ კი ის დაინახავს, რომ ხელშეკრულების პირობები ასე თუ ისე არ შეესაბამება და არ ეთანხმება არსებულ შრომის კანონებს და მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებას სრულებით ხელს არ უწყობს და თანაც აფერხებს.

კითხვა: ვინ აწესებს კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის რიგს?

პასუხი: ხელშეკრულებათა რეგისტრაციის რიგს აწესებს თვით შრომის სახალხო კომისარიატი.

კითხვა: რა დროიდან შედის ძალაში, რეგისტრაციაში გატარებულ კოლექტიური ხელშეკრულება?

პასუხი: რეგისტრაციაში გატარებული კოლექტიური ხელშეკრულება შედის ძალაში იმ დღიდან, რა დღესაც ხდება მაზე ხელის მოწერა პროფკავშირის და დამქირავებულ პირთა, წარმოებათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის სრულუფლებიან წარმომადგენლების მიერ, ან და იმ დროიდან, რა დროსაც ორივე მხარენი აღნიშნავენ თვით კოლექტიურ ხელშეკრულებაში.

კითხვა: რჩება თუ არა ძალაში რეგისტრაციაში გატარებული კოლექტიური ხელშეკრულება ამა თუ იმ დაწესებულების, ან წარმოების რეორგანიზაციის (გადაკეთების) ან და სხვა პატრონზე გადასვლის შემდეგაც?

პასუხი: კოლექტიური ხელშეკრულება აღნიშნულ შემთხვევებშიც სავსებით თავის ძალაში რჩება და მოქმედობს მთელ მის მიერ განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, თუ კი ორივე მხარენი ერთმანეთთან სრული შეთანხმებით არ მოისურვებენ მისი მთლიანად, ან ნაწილობრივ შეცვლას და განახლებას; თუ კი რომელიმე მხარე მოისურვებს კოლექტიურ ხელშეკრულების განახლებას და ანუ მის ნაწილობრივ შეცვლას, ის ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს წინდაწინ ორი კვირით ადრე. მასთან ნაწილობრივ შეცვლილი ანუ მთლიანად განახლებული ხელშეკრულება აუცილებლად ხელმეორედ უნდა რეგისტრაციაში გატარდეს.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

სალამი 25 თებერვალს

25 თებერვალი საქართველოს მუშათა ცხოვრების მატიანეში არის უბრწყინვალესი, უძვირფასესი და უდიდესი დღესასწაული. ორი წლის წინეთ მტკიცედ მოვიმარჯვეთ ბასრი ხმლები ჩვენ დაკოჟრებულ მძლავრი ხელებზე და სამუდამო გამარჯვების ყიჟინით გავყარეთ, გავაძევეთ საქართველოდან ჩვენი ყოფილი არამკითხე ოპეკუნები, მენშევიკები. ამ ევროპის კაპიტალისტების ლაქია-მონა-მორჩილების ნაცვლად, სახელმწიფო მმართველობაში ჩვენ ავირჩიეთ ჩვენიმე წრიდან შრომის შვილები, რევოლიუციონურ სიმტკიცით და საბჭოთა აღმშენებლობის საქმის ცოდნით აღჭურვილი ამხ. ამხ.—მუშები, გლეხები და წითელ-არმიელები. და ამიტომ მიმდინარე წლის 25 თებერვალს ჩვენ ვმართავთ არა მარტო სახალხო ზეიმს—მხოლოდ ზეიმისათვის, არამედ ამით ჩვენ ვუკეთებთ საბჭოთა სახელმწიფო აპარატების და მათ ხელმძღვანელ ამხანაგების ორ წლის მოქმედება-მოღვაწეობის შეფასებას.

ჩვენ, ყოველი პროფესიის მუშები, ერთხმად ვამოწმებთ და ვადასტურებთ, რომ ჩვენ ქვეყანას გასაბჭოების შემდეგ ეტყობა ყოველ დარგში საგრძნობი წინმსვლელობა და წარმატება და ჩვენ, მუშები კი, ამ ორ წლის განმავლობაში გავხდით ნამდვილი ბატონ-პატრონები ჩვენი შრომის ძალ-ღონისა და ფაბრიკა-ქარხნებისა. ამხ. გლეხებს სრულიად უსასყიდლოდ გადაეცათ მიწა-წყალი და სახნავ-სათესი ადგილები. მუშებში მოხდა თითქმის სრული ლიკვიდაცია—წერა-კითხვის უცოდინარობისა. ფაბრიკა-ქარხნებში თითქმის ყველგან არსებობს მუშათა კლუბები, სამკითხველოები, სხვა და სხვა გვარი სტუდიები; ვსარგებლობთ უსასყიდლოდ საექიმო დახმარებით და მედიკამენტებით; გვაქვს თავისუფლად გზა გახსნილი, როგორც საშუალო, ისე უმაღლეს ცოდნის შესაძენად. ჩვენ მუშები ოდესმე ყოველ უფლებას მოკლებულნი, დღეს ვართ ყოველ დარგში სრულ უფლებიანი ადამიანები და ჩვენი თავისუფალ შრომის ნამდვილ ბატონ-პატრონები. ყოველივე ეს არის ნაყოფი და შედეგები საქართველოს გასაბჭოებისა, რომელიც მოხდა 25 თებერვალს. ამიტომ ეს დღე ჩვენ, მუშებმა უნდა ჩავატაროთ ისე ბრწყინვალედ და ღირსეულად, როგორც ეს შეშვენის გამარჯვებულს, თავისუფალს მუშას და დიდს დღესასწაულს.

გაუმარჯოს 25 თებერვალს!

გაუმარჯოს აღმოსავლეთის წითელ თებერვალს.

მუშა-მელითონე **გ—ზ ა—ნი.**

პირველ საბჭოთა კოლოფის ქარხნის მუშებში

ამა წლის 20 თებერვალს ადგილობრივ კომიაჩეიკის მიერ მოწვეულ იქნა პირველ საბჭოთა კოლოფის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრენ 200 მუშა-მოსამსახურე და მეორე საარტილერიო ქართული ბრიგადის წითელარმიელები.

კრებაზე თავმჯდომარეობს ფაბკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ფრ. ფრიდონოვი, მდივნობს ამხ. ჩილინგაროვი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

1) საქართველოს გასაბჭოების ორ წლის თავის დღესასწაულობის შესახებ;
2) მუშათა და გლეხთა წითელარმიის 5 წლის არსებობის შესახებ და
3) მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფრიდონოვი, რომელიც ასურათებს საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერ მუშაობას აღმშენებლობითი, კულტურულ და სამეურნეო-ეკონომიურ დარგებში. მასთან ამხ. ფრიდონოვი განუმარტავს კრებას ახალ-ეკონომიურ პოლიტიკის და საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის მთავარ მნიშვნელობას და მიზანს.

25 თებერვალი არის დიდი საზეიმო დღე მშრომელ მასის გამარჯვებისა საქართველოში. ამიტომ ეს უკანასკნელი ვალდებულია ღირსეულად შეხვდეს ამ ძვირფას მუშურ-გლეხურ დღესასწაულს“... და სხვა.

კრება სავსებით იზიარებს მომხსენებლის აზრს.

წითელ არმიის ხუთი წლის არსებობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კილოსანიძე; რომელიც წითელ არმიის დაარსების მოკლე ისტორიულ მიმოხილვის შემდეგ, აშუქებს აღნიშნულ არმიის დაუღალავ, თავგანწირულ და გმირულ ბრძოლას შინაურ და გარეშე მტერთა წინააღმდეგ. ყველა ომებიდან ჩვენი მუშურ-გლეხური ჯარი გამოვიდა ძლევამოსილი. ის ყოველთვის იდგა თავის დანიშნულების სიმაღლეზე. თავის დაუზოგავ სისხლით მან მოუპოვა მუშებს თავისუფალ შრომა და ყოველივე ადამიანური უფლებები და მიანიჭა გლეხობას მიწა-წყალი... ამიტომ საჭიროა მჭიდრო და მტკიცე კავშირი მუშებისა მუშათა და გლეხთა წითელ-არმიასთან. ამხ. მუშებს ჰმართებთ გაუწიონ ყოველგვარი დახმარება თავის ფხიზელ დარაჯს, წითელ არმიას და ღირსეულად შეხვდნენ ამ უკანასკნელის ხუთი წლის არსებობის საიუბილეო დღესასწაულს...

კრება ტაშის ცემით ასაჩუქრებს ამხ. კილოსანიძეს; უკეთებს ოვაციას აქ მყოფ წითელ არმიელებს და ერთხმად იღებს კომიაჩეიკის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას, რომელშიაც ის გამოსთქვამს თავის გულისწყრომას მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატების მთავრობათა გამცემლობითი და მუხანათური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელთაც მშრომელ მასებთან მუშაობას ამჯობინეს ევროპიულ მტაცებლობითი და იმპერიალისტურ ბურჟუა-კაპიტალისტებთან თანამშრომლობას საბჭოთა მთავრობის და მშრომელთა დიქტატურის წინააღმდეგ.

შემდეგ კრება ესალმება საბჭოთა მთავრობას და ძლევამოსილ წითელ-არმიას, რომელნიც ფხიზლად დგანან მშრომელი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე.

ამის შემდეგ კრება იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

ინფორ.-კორ. მუშა—როტინოვი.

პროფმოძრაობაში ქალები ებმებიან

ამა წლის 19 თებერვალს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მოხდა აღნიშნულ დაწესებულების მუშა-მოსამსახურე ქალთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო ქალთა პროფმოძრაობაში ჩაბმის საკითხი.

მომხსენებელ ამხ. ვერემიაჩიკოვმა განუმარტა მსმენელებს პროფ და პოლიტმოძრაობაში ქალების ჩარევის აუცილებელი საჭიროება და მისი მნიშვნელობაც. მან აღნიშნა თავის მოხსენებაში, რომ იმ გულგრილობას პროფ. მოძრაობისადმი, რომელიც ემჩნევა ქალთა წრეს, ადგილი არ უნდა ქონდეს.

საჭიროა აიღონ მაგალითი მამაკაცებისაგან, ხშირ-ხშირად მართონ კრებები, არ დააკლდენ არც ერთ სხდომას, ფხიზლად ადევნონ თვალყური და ალღო აუღონ მიმდინარე მოვლენებს. უმოქმედობას და სხვისი იმედით ცხოვრებას ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრულ, მომხსენებელმა მოუწოდა ამხ. ქალებს, რათა მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ მომავალ დიად 23-25 თებერვლის დღესასწაულებში; რის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ვერემეიჩიკოვას მოხსენება ქალთა პროფმოძრაობაში ჩაბმის და მომავალ დღესასწაულებში მონაწილეობის მიღების შესახებ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშა-მოსამსახურე ქალთა საზოგადო კრება ესალმება საქართველოს გასაბჭოების ორი წლის თავს და წითელი არმიის ხუთი წლის არსებობას და იძლევა სიტყვას, მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს მშრომელთა პროფმოძრაობაში. ადგილკომს ევალება ზრუნვა თანამშრომელ ქალთა პრაქტიკულად ჩაბმვაზე როგორც პროფმოძრაობაში, ისე მომავალ დღესასწაულების ჩატარების საქმეში.

ინფორ.-კორ. ა. ნ.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის სარედაქციო წერილში: „**დაღუპულთა ხსოვნას**“ შეპარულია რამდენიმე კორექტურული შეცდომა, რომელთაგან ვასწორებთ უმთავრესებს:

სწერია: „... ის (მიტინგის ადგილი) **გაიყინა** უდანაშაულო მუშების სხეულის ნაფლეთებით“. შემდეგ: „დღეს ჩვენი მუშათა კლასი იგონებს იმ მუშებს, რომელთა **შვილები** საძირკვლად დაედვნენ პროლეტარიატის დიქტატურის ციხე-სიმაგრეს“...

ხაზგასმულ სიტყვების მაგივრად უნდა იყოს: „მოიფინა“ და „ძვლები“.

— **თებერვლის დღესასწაულების გამო.** შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დადგენილებით, დღეს 24 თებერვალს, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში 25 თებერვალის დღესასწაულის გამო მუშაობა უნდა შეწყდეს დღის 12 საათზე.

ქალაქის აღმასკომში

— **აღმასკომის განყოფილებების დამტკიცება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაამტკიცა აღმასრულებელ კომიტეტის შემდეგი განყოფილებები: 1) სამართველოს, 2) კომუნალური, 3) საადგილ-მამულო, 4) საფინანსო, 5) ჯანმრთელობის, 6) სტატისტიკური, 7) სასურსათო კომიტეტი, და 8) ინსპექციის განყოფილება.

— **განყოფილებების რეორგანიზაცია.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სარეორგანიზაციო კომისიისა და მცირე პრეზიდიუმის დადგენილება შემდეგი ცვლილებით: 1) საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგეთ დანიშნოს ერთ-ერთი წევრი და მისი ფუნქციები გაფართოვებულ იქნეს. დაევალოს ამხ. ვარძიელს შეიმუშაოს აღმასკომის საქმეთა-მმართველობის დებულება. 2) საიჯარო ქვე-განყოფილება, უშუალოთ დაექვემდებაროს საფინანსო განყოფილებას.

— **საქმეთა-მმართველის დანიშვნა**, აღმასკომის საქმეთა-მმართველად დაინიშნა ამხ. ვარლამ მესხი მცირე და გაფართოებულ პრეზიდიუმში წევრად შეყვანით.

— **აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.** იმავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა უარყოფილ იქნეს აღმასკომის თავმჯდომარის ორი მოადგილეს თანამდებობა. თავმჯდომარის მოადგილეთ დაინიშნოს კომუნალურ განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი ამხ. ს. ქლენტი.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** წინადადება მიეცეს მილიციას თვალყური ადევნოს, რომ რესტორან სასადილოებში არ ხდებოდეს ლოთობა და საზოგადოთ წესრიგი არ ირღვეოდეს.

განათლების კომისარიატში.

— **სახელმწიფო გამომცემლობა.** წითელი არმიის 5 წლის თავის აღსანიშნავად, სახელმწიფო გამომცემლობამ საჩუქრად დაურიგა წითელ-არმიელებს 300 ცალი მოზრდილთათვის პირველ დაწყებითი ხასიათის სასწავლო წიგნი რუსულ ენაზე: „ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა.“

— **დახმარება წითელ-არმიელებს.** განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა ერთხმად დაადგინეს, რომ წითელ-არმიის 5 წლის თავის აღსანიშნავად გადასდონ არმიელების სასარგებლოდ თავიანთი ჯამაგირებიდან 1 პროცენტი. გარდა ამისა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა 25 თებერვლის დღესასწაულში.

— **სახელმწიფო გამომცემლობაში.** თანახმად მბეჭდავთა კავშირის დადგენილებისა, სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლები უნდა გადაირიცხონ წარმოების მიხედვით იმ დარგში რომელსაც ისინი ემსახურებიან. ე. ი. განათლების მუშაკთა კავშირში.

— **ახალი პედაგოგიური ჟურნალი.** განათლების კომისარიატმა, მესამე ყრილობის დადგენილების თანახმად გადასწყვიტა ამ მოკლე ხანში გამოსცეს ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი, რომელშიაც მოთავსებული იქნება პედაგოგიური ხასიათის პრინციპიალური წერილები და ოფიციალური ნაწილი.

— **საქართველოს ახალი რუქა.** გამოვიდა და იყიდება პროფესორ ივანე ჯავახიშვილის რედაქციით და შესწორებებით შედგენილი საქართველოს ადმინისტრატიული სრული რუქა, რომლის მასშტაბში შედის საქართველოს საზღვრები, ადმინისტრატიული პუნქტები, თემები და სოფლები. რუქა ღირს 5 მანეთი ოქროთი.

— **სასკოლო აღწერა.** განათლების კომისარიატის და სტატისტიკური ცენტრალური სამართველოს მიერ გამომუშავებულია 1922—23 სამოსწავლო წლის სასკოლო აღწერის ჩატარებისათვის ახალი ანკეტა, რომლითაც უნდა შეიკრიბოს საერთო ცნობები რესპუბლიკაში არსებული სკოლების, საბავშო სახლების, ბაღების და კერის, პროფესიონალურ სკოლების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვის, საერთო ცნობები სკოლების შენობების მდგომარეობის შესახებ, განათლების განყოფილებების თანამშრომელთა შესახებ და წიგნთ-საცავებ, ქოხ-სამკითხველოების შესახებ. ანკეტები უკვე დაეგზავნათ განათლების განყოფილებების გამგეებს და ადგილობრივ სტატისტიკურ ბიუროების დახმარებით არა უგვიანეს ორი კვირისა უნდა მოხდეს ანკეტების შევსება, რომლებიც წარედგინება განათლების კომისარიატის სტატისტიკურ ქვეგანყოფილებას.

რკინის გზაზე.

— **ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზებთან დაარსებული საორგანიზაციო ბიურო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ტუბერკულიოზურ სამდღეულის გატარებას, სამდღეულის მიზანს შეადგენს: 1) რაც შეიძლება ფართოდ გააშუქოს მუშათა მასების წინაშე საკითხი ტუბერკულიოზის შესახებ, როგორც პროფესიონალურ ავადმყოფობაზე. 2) პროპაგანდა გასწიოს ტუბერკულიოზთან ფართე ბრძოლის წარმოების საჭიროების შესახებ—სახელმწიფოს, საზოგადოების და კერძო პირთა საშუალებით. 3) შეაგროვოს საშუალებანი ტუბერკულიოზის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდისათვის დისპანსერების, სანატორიების მოსაწყობად და სხვა წინასწარი ხასიათის პრაქტიკული ზომების გასატარებლათ ჭლექიან ავადმყოფების დახმარების საქმეში.

შრომის კომისარიატში.

შრომის განყოფილებების მუშაობა იანვარში.

ქუთაისი.

— **დამზღვევი კასისა და შრომის დაცვის ინსპექციის მოწყობა პროვინციებში.** ქუთაისის მაზრის შრომის განყოფილებამ მოიწვია ყოფილი შრომის განყოფილებების გამგეები რაჭა-ლეჩხუმის, რომლებიც დანიშნულ იქნენ განყოფილების დროებით რწმუნებულებათ აღნიშნულ მაზრებში—შრომის დაცვის ინსპექციის, დამზღვევი კასის და წვრილ ხელოსნებს შორის ურთიერთ დახმარების საზოგადოებების მოსაწყობად.

— **დახმარება ღარიბეს მცხოვრებლებს.** განყოფილებამ იანვარში დახმარება აღმოუჩინა 57 ღარიბეს მცხოვრებლებს.

— **დახმარება პენსიონერებს.** ამავე ხნის განმავლობაში, ცენტრიდან გადმოგზავნილი 9,600,000 მან. დაურიგდა პენსიის სახით 21 პენსიონერს.

— **კონფლიქტები.** იანვრის განმავლობაში საკონფლიქტო კომისიას ქონდა ერთი სხდომა. გარჩეულ იქნა ერთი კონფლიქტი მუშების სასარგებლოდ.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** იანვრის განმავლობაში აღრიცხული იქნა ორივე სქესის 228 უმუშევარი გაიგზავნა სხვა და სხვა სამუშაოზე 90 ორივე სქესის უმუშევარი. ამავე თვის განმავლობაში დახმარება მიეცა 77 უმუშევარს, რომლის რაოდენობა უდრის 20,491,000 მან.

— **თავისუფალ შრომის პირთა საურთიერთო დამხმ. საზოგადოება.** აღნიშნულ საზოგადოებაში ირიცხება 1015 წევრი. ერთდროული გადასახადისაგან შემოვიდა იანვრის განმავლობაში 14,950.000 მან. საწევრო გადასახადისაგან 29,285,000 მანეთი საზოგადოების სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 4 წევრი. საზოგადოების ღარიბეს წევრს (ხელოსანს) მიეცა ერთდროული დახმარება 2 მილ. მან. რაოდენობით. სესხი მიეცა ორ წევრს. საექიმო დახმარება აღმოეჩინა 11-ს. საწევრო გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნა სიღარიბის გამო 4 წევრი.

— **შრომის ინსპექცია.** იანვარში აღრიცხული იქნა 121 მცირე წლოვანი მუშა. სამუშაოდან მოხსნილი იქნა ბირჟის გარეშე მიღებული 2 მუშა-მოსამსახურე.

— **დამზღვევი კასა.** ავადმყოფთა რიცხვი იანვარში აღწევდა 59-ს რომელთაც მიეცა დახმარება 182,744,500 მან. 17 გარდაცვალებულის ოჯახს მიეცა დახმარების სახით 25,500,000 მან, 13 წევრს მშობიარობის გამო მიეცა 8,048,000 მან. ამათგან 5-ს რძის ფულათ მიეცა 2,337,000 მან. სხვა და სხვა წყაროებიდან დამზღვევ კასის სალაროში შემოვიდა 823,901,000 მან. აქედან ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 554,000,000 მან.

ხონი.

— **კონფლიქტები.** იანვრის განმავლობაში შემოვიდა 4 კონფლიქტი, ორი საქმე გადაწყდა მუშების სასარგებლოთ. 2 პროცესშია.

— **წვრილ ხელოსნების კავშირი.** მოწყობილი იქნა წვრილი ხელოსნების საზოგადოება.

დამზღვევი კასა. დამზღვევ კასის სალაროში შემოვიდა: 58,554,000 მან. აქედან დაიხარჯა 4,920,000 მან. მშობიარეებს მიეცათ დახმარების სახით—3,445,000 მან. ავადმყოფებს—2,500,000 მან.

კრებები და მოხსენებები

— **„განათლების მუშაკთა სახლი“.** ორშაბათს 26 თებერვალს საღ. 7 ს. ფიზიკა-მათემატ. ქვესექციაში: 1) განხილვა ამხ. კოლუმბეკოვის და ტომახინის მოხსენებებისა, 2) საინფორმაციო მოხსენება ახალ სამეცნიერო ლიტერატურის შესახებ. სამშაბათს 27 თებერვალს საღ. 6 ნახ. საათზე სომხური ენის ქვესექციაში ლისიციანის მოხსენება: პრაქტიკული ზომები წერითი უმუშევრების წარმოების და მათ გასწორების შესახებ, სამშაბათს 27 თებერვალს, საღ. 7 ს. ბავშვთა თვითმოქმედების ქვესექციაში ჩერეპნოვის მოხსენება: სკოლა—კომუნა კოჯორში (სამი თვის ცდა).

სხვა და სხვა

— **სასახლის კომენდანტის განცხადება.** თანახმად საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველის განკარგულებისა, სასახლის კომენდატურა ამით აცხადებს მომსვლელ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ სასახლეში მოთავსებულ დაწესებულებების (ამიერ-კავკასიის ც. ა. კ., ამიერ-კავკ. სახ. კომ. საბჭ., სრულიად საქ. ც. ა. კ., სრულიად საქ. სახ. კომ. საბჭ. და უმაღლეს ეკონ. საბჭოს.) განცხადებები, თხოვნები, მიწერ-მოწერა და ყოველივე ცნობების მისალებათ მიჰმართონ სასახლის კომენდატურას პირადათ ან ტელეფონით 8—34 და 46.

ხელოვნება

— **სახელმწიფო კონსერვატორია.** ორშაბათს, 26 თებერვალს, სახელმწიფო 1-ლ კონსერვატორიაში გაიმართება ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა ტრადიციული კონცერტები სახელმწიფო ოპერის მსახიობების აგრანოვსკის, ბაუხის, ინაშვილის, კრიჟანოვსკის, მუხტაროვას, ისეცკის, შარაშიძის და საბინინის მონაწილეობით. შემდეგ კვარტეტი სახელმწიფო ოპერის დირექტორის პალიევის ხელმძღვანელობით.

— **ახალი წრე პოეტების.** დაარსდა ახალი წრე პოეტების. „მწუხარე გედების“ ორდენი, რომელშიაც შედიან: ტერენტი გრანელი, გობრონ აგარელი, ლევან ასათიანი, გრიგოლ ზოდელი, ვადიმ ნორაკიძე. მოკლე ხანში გამოვა ორდენის ჟურნალი.

დღეს თეატრებში.

— სახელმწიფო ოპერა—წარმოდგენა მუშებისა და წითელ-არმიელებისათვის, წარმოდგენილი იქნება „ფრა-დიაველო“, რუსთაველის თეატრი—„გეგეჭკორი“, სახალხო სახლი—რუსული წარმოდგენა, 1-ლი საბჭოთა თეატრი—რუსული წარმოდგენა, პროფკავშირების საბჭოს კლუბი—კონცერტ-მიტინგი, კინო-მინიონი—სიკვდილის აზრი, კინო-არფასტო—არსენ ჯორჯიაშვილი, კინო-სარკის—სიკვდილის ბრჭყალებში, კინო-პალას—„მოლჩი გრუსტ, მოლჩი“ კინო-[illegible]ლას—„კბილი კბილის წინ“.

პროვინციაში

დუშეთის მაზრა.

თესვის კომისია.

26 იანვარს დუშეთის მაზრის თესვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ტერ-მარკარიანცისგან მივიღე ოფიციალური განკარგულება, გავმგზავრებულიყავ მაზრაში რევიზიის გასაკეთებლად, თუ როგორ მიმდინარეობს სათესლე მასალის მოგროვების საქმე.

დუშეთის მაზრის თესვის კომისიას ამ ჟამად აქვს სულ შვიდი საწყობი, სადაც ინახება სათესლე მასალა და ემსახურება შემდეგ რაიონებს: ქ. დუშეთში—ბაზალეთის, ჟინვალის, მჭადისჯვრის, გრემისხევის და ანანურის რაიონებს; მუხრანში—მუხრანის რაიონს; მცხეთაში—მცხეთის და საგურამოს რაიონს; ოძისში—ახალგორის, მონასტრის და ლეხურის რაიონებს; ჰოპორტში—ჰოპორტის რაიონს; ფასანაურში—ფასანაურის და მლეთის რაიონებს; კობში—კობის და ყაზბეგის რაიონებს. აგრეთვე ჰყავს 23 აგენტი სათესლე მასალის მოსაგროვებლად.

22 იანვარს დილით დამთეს კომისიის თავმჯდომარესთან ერთად გავემგზავრე საქართველოს სამხედრო გზით ს. მცხეთაში.

28 იანვარს ვინახულეთ მცხეთის საწყობის გამგე ნიკო თათარაშვილი, დაუბეჭდეთ საწყობი და შეუდექით მის საქმეების გადაშინჯვას. საწყობი მთლად გადავწონეთ, ყოველივე სათესლე მასალა აღმოჩნდა სრულიად ორიოდე ფუთის დანაკლისით, რომელიც გამოწვეულია გამრავლებულ თაგვებისაგან.

როდესაც შევეკითხე ნ. თათარაშვილს, თუ რად დააკლდა საწყობს ამდენი სათესლე მასალა, მან მიპასუხა: თუ ჩემსას არ დაიჯერებთ, შეეკითხეთ ახლო-მახლო მცხოვრებლებს და გეტყვიან, თუ რა დღეშია ჩვენი საწყობი. საწყობში ამ ჟამად ბუდობს აუარებელი ვირთაგვა, რომელნიც ანადგურებენ აუარებელ სათესლე მასალას, აი თვით ხალხი იტყვის. ყოველ საღამო ხანზე გამოლაგდებიან მთელი ფარა ვირთაგვების და წყლის დასალევათ მიეშურებიან მტკვარზე, როდესაც წყლით გაძღებიან, ისევ ბრუნდებიან საწყობში. ძლიერ ბევრი ვეცადე მათ გაწყვეტას, მაგრამ ვერას გზით ვერ შევძელი ერთ ღამეს კატაც კი შევაგდე, მაგრამ მეორე დღეს დამხვრჩალი დამხვდა შიგო.

მართლაც დავრწმუნდით, რომ საწყობში აუარებელი კატის ტოლა თაგვები ბუდობენ და მეტის-მეტად აფუჭებენ სათესლე მასალას, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და იქმნას გამოგონილი რაიმე საშუალება ამ თაგვების მოსასპობად.

საწყობის გადაწონის შემდეგ, მოვიწვიეთ მცხეთის და საგურამოს რაიონის აგენტები, რომელნიც დაქირავებულნი (მოგროვილ სათესლე მასალიდან კომისიის დადგენილებით მათ ეძლევათ 3 პროცენტი), და შეუდექით მათ ნამუშევარის გადაშინჯვას. ყველა საქმეების გადაშინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 95 პროცენტი უკვე მოგროვილი აქვთ და ჩაბარებული მცხეთის საწყობში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მცხეთის და საგურამოს რაიონში თითქმის სულ არის შეგროვილი გაცემული სათესლე მასალა და თვით საწყობშიც საქმის წარმოება კარგათ არის დაყენებული.

მცხეთის საწყობის და აგენტების რევიზიის გათავების შემდეგ, 29 იანვარს დამთეს კომისიის თავმჯდომარესთან ერთად გაუდექით მუხრანის გზას. დღე ძალიან ცივი იყო, უბერავდა მძლავრი ქარი და თოვლს სახეზე გვაყრიდა. მოხნულ მიწებს და მინდვრებს ვათვალიერებდით. უნდა ითქვას, რომ მთელი მიწები თბილი ამინდების და უთოვლობის გამო სულ დახნული იყო თაგვებისაგან, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ჭირნახულისათვის.

მუხრანში მისავალი გზები მეტისმეტად გაფუჭებულია, ყოველ ას ნაბიჯზე შეხვდებით ჩაღრმავებულ ადგილებს წყლით და ტალახით ამოვსებულებს. მუხრანში შემოსავალ გზაზე, რომელიც გადადის ქანდის წისქვილების მახლობლად ორღობეების შუა, ისეა გაფუჭებული, რომ ორ არშინის სიმაღლეზეა ჩაღრმავებული და წყლით და ტალახით ამოვსებული. ყოფილა ისეთი შემთხვევაც კი, რომ ბევრჯელ ჩავარდნიათ შიგ ურემი და ველარ ამოუძვრიათ ტალახიდან, შესაძლებელია შემდეგში საქონელიც კი დაეხვრჩეთ მგზავრებს ამ გზაზე.

ნუ თუ ს. მუხრანის მცხოვრებლებს არ შეუძლიათ, რომ ამ ტალახში, რამდენიმე ურემი ქვა მაინც ჩაჰყარონ და ამოავსონ, რომ თავისუფლად შეეძლოს მგზავრს გავლა,

ამ გზის უყურადღებოდ დატოვება უფრო ადგილობრივ აღმასკომის უმოქმედობას მიეწერება.

როგორც იყო მივედით მუხრანში საწყობის გამგესთან, და მეორე დღეს დილიდანვე შეუდექით საწყობის გადაწონას; საწყობის გადაწონის შემდეგ ყოველივე სათესლე მასალა აღმოჩნდა სრულად, გარდა ორიოდე ფუთის დანაკლისისა, რაც მიეწერება გამრავლებულ თაგვების მიერ განადგურებას.

მუხრანის რაიონის საწყობიც უნდა ითქვას, რომ თავის სიმაღლეზედ სდგას, მაგრამ როდესაც გადავშინჯეთ მუხრანის რაიონის აგენტების ნამუშევარი, აღმოჩნდა რომ მხოლოდ 90 პროც.-მდე ჰქონდათ მოგროვილი, რაზედაც მაზრის დამთეს კომისიის თავმჯდომარემ დიდი უკმაყოფილება გამოუცხადა და გასცა განკარგულება, რომ ერთი კვირის განმავლობაში დანარჩენი 10 პროც. მოეკრიფნათ და ჩაებარებინათ საწყობში.

შემდეგ ამისა 1 თებერვალს საღამო ხანზედ გავემგზავრეთ ს. ოძისში საწყობის დასათვალიერებლად, მაგრამ ქარბუქის გამო ოძისში ველარ ავედით და იმ ღამეს ს. ქსოვრისში მოგვიხდა დარჩენა მასწავლებელ სოფიო რუმიანცევასთან.

მისვლისთანავე დავათვალიერეთ სასწავლებელი. სულ სოფელში ყოფილა ორი განყოფილება ხუთი პარტით და ერთი დაფით, სულ ამ სასწავლებელში ითვლება 53 მოწაფე.

მასწავლებელს შევეკითხე:

— ყველა სოფლის სასწავლებლებში ასეთი ნაკლებლობაა პარტების და დაფის მხრივ, თუ მხოლოდ ამ სოფელშია ასე.

— ამ სასწავლებელს რა უჭირს— მიპასუხა მან—სხვა პატარა სოფლის სასწავლებლებს სრულიათ არა აქვთ არც პარტები და არც დაფა.

— მაშ როგორ ასწავლიან ბავშვებს.

— რა მოგახსენოთ, როგორც მოუხდებათ ისე.—მოკლედ მიპასუხა მასწავლებელმა.

2 თებერვალს ცოტა კარგი დღე გამოვიდა, ქარი ჩავარდა და თოვლმაც იკლო, შუა დღისას გავემგზავრეთ ს. ოძისში. საათის ორი იქნებოდა, როდესაც მივედით, მაგრამ საწყობის გამგე ქლივიძე იქ არ დაგვიხვდ (თბილისში წასულიყო სამსახურის საქმეების გამო) მეორე დღეს გამოვემგზავრეთ ქ. დუშეთში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გარდა ფასანაურის, მლეთის, კობის და ყაზბეგის რაიონებისა 1921 წელში და 1922 წელში გაცემული სათესლე მასალა თითქმის სულ მოგროვილია, მთელ მაზრის მაშტაბში.

7 თებერვალს დამთეს კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ხელახლა გავემგზავრეთ ფასანაურის და კობის საწყობების დასათვალიერებლად და საქმის მოსაწყობად.

მეორე დღესვე შეუდექით ფასანაურის საწყობის გადაწონას და საქმეების გადაშინჯვას, ყოველივე აღმოჩნდა სრულად.

მაგრამ, როდესაც გადავშინჯეთ აგენტის მუშაობა, აღმოჩნდა, რომ მათი მუშაობა მეტის მეტად მოისუსტებდა, რის გამო მეორე დღესვე თავმჯდომარის განკარგულებით მოვხსენით ბაზალეთის და ანანურის რაიონის აგენტები ივანე თურქაძე და კოლა ფარესიშვილი და გავგზავნეთ ფასანაურის და მლეთის რაიონებში სათესლე მასალის სასწრაფოდ მოსაგროვებლად.

9 თებერვალს მარსილით მოგვიხდა გამგზავრება კობში, გზაში დაგვიანების გამო დავრჩით მლეთში; იმ ღამესვე დაიწყო თოვა და მეორე დღისთვის უკვე ნახევარ არშინზე დაედო ახალი თოვლი. ჩვენ მაინც ვაპირებდით კობში წასვლას, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარემ და მლეთის მცხოვრებლებმა გვირჩიეს არ წავსულიყავით, რადგან შესაძლებელია გზა შეიკრას დიდი თოვლის გამო და ან გზაში კლდიდან წამოსულმა თოვლმა მოგიტანოსთ ქვეშო. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ წასვლის შესახებ და ბოლოს მაინც შევეკითხეთ ტელეფონით გუდაურს გზის შესახებ. მან გვიპასუხა:—ჯვრის გადასავალზედ მგზავრი აღარც მიდის და აღარც გადმოდის დიდი თოვლის გამო, შესაძლებელია გზაც შეიკრა. ჩვენ გადავწყვიტეთ უკან დაბრუნება.

მეორე დღეს ე. ი. 11 თებერვალს ფასანაურიდან წამოვედით ქ. დუშეთში.

აქ არ შემიძლიან არ ავღნიშნო ერთი სანახაობა.

როდესაც გამოვცედით ს. ქერანას, გზაზედ შევნიშნეთ ერთი ვილაცა ცხენზედ მჯდარი მგზავრი, ეტყობოდა, რომ მთვრალი უნდა ყოფილიყო; როდესაც უფრო ახლო მოგვიახლოვდა ვიცანით მღვდელი მ. ჩოხელი, გზადაგზა გასძახოდა სიმღერებს და ილანძღებოდა უხეში სიტყვებით, ცხენზე აქეთ იქით გადაეკიდნა ქათმები, ხურჯინი გაევსო ნაზუქებით, ხაჭაპურებით და სხვა. ერთი ჩარექიანი ბოთლით არაყიც ჩაედვა ჯიბეში და სიმღერა—ყვირილით და ცხენზე თამაშით მოჩაქჩაკებდა ქვევით. როგორც იყო მოგვიახლოვდა.

მე ვერ მოვითმინე და შევეკითხე.

— „მამაო!“ სად ბრძანდებოდით, რომ ასე ძრიელ დამთვრალხართ.

— არანისში, ქორწილში—ძლივს წაილუღლუღა მღვდელმა.

— მერე რად დაითვერი ეგრე ძალიან.

— ჩემი ნება ასე იყო—მღვდელი ცოტახანს გაჩუმდა და შემდეგ განაგრძო აბდა-უბდა ლაპარაკი; ცოტახნის შემდეგ ლუღლუღით და ენის ბორძიკით დაიწყო.

— რა სულელია ეს ხალხი, თუ ჩვენ მღვდლებმა ჯვარი არ დავწეროთ, ცოლს ისე არ შეირთავენ, დაილოცა ისევ ეხლანდელი კანონი. სულ ტყუილია ღვდლით ჯვრის წერა, არავითარი ძალა არა აქვს. მეც რას ვკარგამ ერთ ორს წავილუღლებ და თითო ჯვრის წერაზედ მილიონ ნახევარს ორ მილიონს გვაძლევენ ხოლმე.

ბოლოს დააყოლა: ვერც მოვსპობთ ამ ჩვეულებას.

— რატომ გგონიათ ეგრე „მამაო“—შევეკითხე მე,—თქვენ როგორი წარმოდგენისა ხართ ამ ჩვეულების და სარწმუნოების შესახებ.

— არ მრწამს, სად არის ღმერთი, სულ ტყუილია, ღმერთებიც ჩვენ ვართ და ეშმაკებიც, ჩვენ ხალხს რომ ესმოდეს, ერთ დღესაც არ გაგვაჩერებენ; წურბელებივით ვასხედვართ ამ უბედურებს—თან ხელი გაიშვირა გზაზედ მომავალ გლეხებისაკენ.

დავუბრუნდეთ ისევ დამთესი კომისიის მუშაობას.

მთელ დუშეთის მაზრაში შემოდგომის სათესლე მასალით დათესილია შვიდი ათასი დესეტინამდე, აქედან დამთეს კომისიის დახმარებით დათესილია ერთ ათასამდე დესეტინა,

შემოდგომით ამინდები კარგი იყო, ჯეჯილებს სარწყავ ადგილებში კარგი პირი უჩანს, არა სარწყავებზედ—საშუალო.

შემჩნეულია მინდვრის თაგვების გამრავლება თბილი, და კარგი ამინდების გამო.

მოსავალი მოსალოდნელია საშუალოზედ უფრო მეტი.

გაზაფხულზედ მოსალოდნელია დაითესოს რვა ათასამდე დესეტინა.

დამთესი კომისია გაზაფხულის სათესლე მასალის გაცემას დაიწყებს პირველ მარტიდან.

დამთეს კომისიას ყველა საწყობებში ამჟამად მოეპოვება ყველა ხარისხის სათესლე მასალა: ქერი, სიმინდი, ფეტვი და სხვ. 5—6 ათას ფუთამდე, გაზაფხულზედ კი მოსალოდნელია 9—10 ათასამდე ფუთის სათესლე მასალის გაცემა, ვინაიდან ზოგიერთი რაიონები განიცდიან დიდ უქონლობას თესლისას.

ა. კორნელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი ა. წ. 24 თებერვლიდან იწყებს პარტიული ბილეთების დარიგებას.

პარტიული ბილეთის მიღება შეიძლება მე-4 რაიკომში ყოველ დღიურად დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე მხოლოდ ინდივიდუალურად. პარტიული ბილეთის მიღებისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

1) იაჩეიკის მდივნის წერილობითი ცნობა, რომ ესა თუ ის პირი ირიცხება ამ იაჩეიკაში და წესიერად ასრულებს პარტიულ მოვალეობას.

2) ქვითარი საწევრო გადასახადის შემოტანის შესახებ 1922 წლის დეკემბრამდე ჩათვლით.

პარტიული ბილეთის მიცემა წარმოებულ იქნება შემდეგი წესით:

1) პარტიის წევრები, რომლებიც ირიცხებიან იაჩეიკებში: № 1 სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის სტამბა, № 2—მე-3-ე სტამბა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, № 3—1 და მე-5-ე სტამბა და ლიტოგრაფია, № 4 მე-2-ე სტამბა (ყოფ. ც. კ.), № 5—სახელმწ. ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია—პარტიულ ბილეთებს ღებულობენ ა. წ. 24 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 5 დან 8 საათამდე, 2, № 6—„ლენინის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფილი ბოზარჯიანცის ქარხ.), № 7—„კარლ მარქსის“ სახელობის თამბაქოს ქარხანა (ყოფ. საფაროვის), № 8—ელექტრონის ძალის სამმართველო, № 9—ქალაქის მე-2-ე ფურნე, № 10—ცეცხლის მქრობელი რაზმი—ა. წ. 26 თებერვალს იმავე საათებში.

3) № 11—ტყავეულობის დარგში მომუშავეთა კავშირი, № 12—სახალხო კავშირი, № 14 საქართველოს საგანგ. კომისიის გუნდები, № 15—ამიერ-კავკ. სამ. კომისია, № 16—ცენტრალური პარტიული სკოლა—ა. წ. 27 თებერვალს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

4) № 17—პოლიტექნიკუმი და მუშათა ფაკულტეტი, № 18—ტფილისის ქალაქის აღმასკომი, № 19—საგანგებო დანიშნულების ნაწილები, № 20—ცეკავშირი, № 21—სახ. მეურნ. საბჭო, № 22—თამბაქოს ტრესტი, № 23—ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილება, № 24—ქალაქის მილიცია—28 თებერვალს იმავე საათებში.

5) № 25—სახელმწ. ოპერა, № 26—ქუჩის ბავშვთა სახლი, № 27—იუსტიციის სახ. კომისარიატი და უზენაესი და აღმოსავლეთ საქართველოს რევტრიბუნალები, № 28—ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭო და საქართველოს სახ. კომისართა საბჭო, № 29—მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი—1 მარტს იმავე საათებში.

6) № 30—სასურსათო სახ. კომისარიატი, № 31—შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი, № 32—ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი, № 33—ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში, № 34—ამიერ-კავკ. საგარეო ვაჭრ. სახ. კომისარიატი და ამიერკ. სახელმწ. ვაჭრ. სამმართველო—2 მარტს იმავე საათებში.

7) № 36—განათლების სახ. კომისარიატი, № 37—ცენტროკავშირის ამიერ-კავკ. საოლქო კანტორა, № 8—ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი, № 39—ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი—3 მარტს იმავე საათებში.

8) № 40—ამიერ-კავკ. სოც. ფ. ს. რესპ. საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატი, № 41—ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპ. ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებ. საქართველოში და № 42—საგანგებო განყოფილება № 4—4-მარტს იმავე საათებში.

მკერვალების, სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს მუშათა ფაკულტეტის იაჩეიკების წევრები, რომელნიც გადასული არიან მე-2-ე რაიონში—პარტიულ ბილეთს ღებულობენ ა. წ. 5 მარტს. პარტიის წევრებს, რომელნიც ვერ მიიღებენ პარტიულ ბილეთებს აღნიშნულ ვადაში, ბილეთები მიეცემათ უკანასკნელ რიგში.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ხაცკევიჩი.

— მე-4 რაიონის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. მამულოვს (მბეჭდავი), რუხაძეს, ბ დილევს (წითელ არმიელთა უნ-ტი), არშს (ოკას სან. გ. განმანათლ. კომ.), ცარ. მოდოვს (დარაჯების სექცია) და ელენე მარუჯიანს შემოიარონ რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ყველა საოლქო, სამაზრო და რაიონულ კომიტეტებს.

ერთიანი პარტიული ბილეთი № 498.608, გაცემული ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. პარმენ ალექსის ძე საბაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

პროფესიონალური

— ქ. ტფილისის ყველა ხელოსანი ერთეულები უნდა შეიკრიბნენ მშრომელთა დარბაზში რუსის ქ. № 3.

25 თებერვალს დილით 8 საათზე

ორი წლის თავის საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

ყველა წევრთათვის გამოცხადება სავალდებულოა.

კომიტეტი.

განცხადებები

ღრმად დამწუხარებულნი გიორგი გრიგორის ძე და ელიზბარ ანანიაშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 22 თებერვალს ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი მეუღლე პირველისა და დედიკო მეორისა, მასწავლებელი მე-30 შრომის სკოლისა

ოლღა დიმიტრის ასულის ანანიაშვილისა

(მახათაძის ასული)

გამოსვენება შაბათს 24 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე ბინიდან თუმანოვის ქუჩა № 10. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

(176—1—1)

ქალაქ ტფილისის და მისი რაიონების

ელექტრონის სადგურების სამმართველო

აცხადებს,

რომ ელექტრონის ენერგიის ტარიფი მიმდინარე თებერვლისათვის დაწესებულია:

1) ბინებისა და საბჭოთა ადმინისტრატიულ დაწესებულებათათვის:
1 კილოვატი—საათში . . . 100.000 მან.
1 სანთელი თვეში . . . . 20.000 მან.
2) სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისათვის:
კილოვატი—საათში . . . 125.000 მან.
1 სანთელი თვეში . . . . 25.000 მან.
3) კერძო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და წარმოებათათვის:
1 კილოვატი საათში. . . . 150.000 მან.
1 სანთელი თვეში . . . . 30.000 მან.

ბარათების შეძენის ვადა გაგრძელებულია 1 მარტამდე.

(კრ. 202—1—1)

თანახმად დიდ ლატარიის მომწყობ კომისიის შუამდგომლობისა და საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტის დასტურისა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ა. წ. თებერვლის 14-ს თარიღით, № 459, ნება დართო

დიდი ლატარიის

გათამაშება მოხდეს ა. წ. სექტემბრის 30-ს.

ცხადდება რა დადგენილება ესე საზოგადოების საყურადღებოდ, ლატარიის კომისია სთხოვს ყველას და განსაკუთრებით თავისს პროვინციის ქვე-კომისიებს და აგენტებს ენერგიულად განაგრძონ ბილეთების გავრცელება და მით ხელი შეუწყონ ლატარიის დიდ მიზანს—საქართველოს დამშეულთა დახმარებას.

ახსოვდეს ლატარიის ბილეთების ყველა მყიდველს, რომ იგი ეხმარება უბედურებაში მყოფ თვისს მოძმეს და, თანაც, იძენს საშუალებას დიდ თანხის მოგებისას.

ა. წ. სექტემბრის 30-ს კი ლატარია აუცილებლად გათამაშდება მიუხედავად ყოველნაირ მდგომარეობისა.

როგორც გამოცხადებულია:

პირველი მოგებაა 500.000.000 მან.
მეორე „ 100.000.000 „ და სხ.

სულ 535 მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200.000.000 მან. მოქალაქენო მოიხადეთ თქვენი ვალი დამშეულთა წინაშე და შეიძინეთ ბილეთები.

კომისია.

კრ. 203—1—1

აღმასკომის კომუნალური წყალსადენის განყოფილება

აცხადებს თანახმათ აღმასკომის დადგენილებისა 16 თებ. 1923 წ., რომ წყლის ტარიფი გადიდებულია 1 იანვრიდან 1923 წ. ერთი ვედრა ეღირება ერთი-მეოთხედი კაპეიკი წყალსადენის საქონლის მანეთობის ანგარიშით.

ყოველ თვე საქონლის მანეთის ღირებულება იქნება აღნიშნული თვით წყალსადენის სააბონენტო უწყებაზე.

კომუნხოზის თავმჯდომარე: **ხ. ულენტი.**
წყალსადენის დირექტორი ინჟინერი: **დიასამიძე.**

კრ. 213—1—1

რ. ს. ფ. ს. რ.
სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა
აწარმოებს
შეღავათიან პირობებში
საფოსტო-სატელეგრაფო გადაგზავნას
ოქროს ფულით
(სახელმწიფო ბანკის საბანკო ბილეთებში)

ყველა ქალაქებში, სადაც მოიპოება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები.

რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორა.

კრ. 209 3—2

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქის განყოფილების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარევიზიო კომისია ა. წ. 20 თებერვლიდან შეუდგა აღმასკომის: 1) სადარაბო სექციის, 2) საბინაო განყოფილების და 3) საბჭოთა სამმართველოს რევიზიას. ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ, რომლებსაც აქვთ რაიმე ცნობები ზემოხსენებულ განყოფილებებში მომხდარ ბოროტ-მოქმედების შესახებ, ერთი კვირის განმავლობაში აცნობონ სარევიზიო კომისიას. კომისია ღებულობს განცხადებებს ყოველ დღე, გარდა უქმისა, დილის 12 საათ. 2 ს-მდე, აღმასკომის შენობაში, ოთახი № 18.

კრ. 212 3—2 **სარევიზიო კომისია.**

საერთო განათლ. კურსებზე **მე-5, მე-6, მე-7 კლას** ტეხნიკუმში, შრომის სკოლაში, სამხედრო სასწავ., მუშათა ფაკულტ., საზებიო ინსტიტუტში (ქალებს) მომავალ სამოსწავლო წლისათვის

ვამზადებ მოწაფეებს

და ვასწორებ ჩამორჩენილებს მათემატიკაში, გერმანულ, რუსულ ენებში—ვიძლევი აგრეთვე ცალკე გაკვეთილებს **ლათინურ ენაში,** პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა 9—1 საათ. და 3—6 საათ. (172—3—1)

ჩემოდანები

იყიდება მრავალგვარი **ფიბრის ჩემოდანები,** ახალი სამოგზაურო პორტპლედები, ტყავის ახალი პორტფელები და კასტორის ქუდები კაცებისათვის **დიდი ნომრების.**

აქავე შეიძლება გაყიდვა ჩემოდანებისა და სამოგზაურო დასაკეცი საწოლებისა. სასტუმრო „სევერნიე ნომერა“-ს ქვემოთ ეზოში.

(174 1—1) **ნავტიკოვი,**

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობა მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23 (684—25—14)

მე-2 საკონსულტაციო-საექიმო კაბინეტი
მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძესი და ექიმი **ვ. გ. მეუნარგიასი**

მიიღებიან ბავშვები **ყოველგვარი რჩევა-დარიგებისათვის.**

ყოველ დღე გარდა უქმეებისა საღამოს 5—6 საათამდე ბელინსკის ქ. № 22 ტელეფ. 1—44. (77—25—20)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მე ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (733—

ვექილობის გაუქმება

ამით ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ მიცემული ივანე ნესტორის ძის ყუნ კონსტანტინე ზაქარიას ძე ცაგარეიშვილისადმი ვექილობა, დამოწ ტფილისის ნოტარიუსის ქართველიშვილის მიერ 1922 წლის ივნის დღესა, № 1746,—გაუქმებულია.

(165—1—1) **იოსებ პავლეს ძე ვეტ**

ქ. ტფილისის 1-ლ რაიონის სახ. მოსამართ

იწვევს სასამართლოში ზოი ალექსანდრეს ასულის მედვედოვისას, რო მოპასუხეს სერგეი იაკობის ძე მედვედოვთან განქორწინების შესა აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან მოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამო დაუსწრებელი დადგენილება. 1-ლ რაიონის სახალხო სასამართლო სასამართლოს ქუჩაზე № 32.

(176—1—1) სახალხო მოსამართლე ა. ჩიხ

ქ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართ

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ნიკოლოზ იაკობის ძე გაბაევის ჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის

(179—1—1) სახალხო მოსამართლე ა. ჩიხ

ქ. ტფილისის მე-10 რაიონის სახალხო მოსამარ

(ტურგენევის ქუჩა 4) მოუწოდებს უგზო-უკვლოთ წასულს მარიამ ფიმეს ასულს გროსს (ხაუსტოვას ასულს) ამ განცხადების დღიდან ვადაში წარუდგეს სასამართლოს, როგორც მოპასუხე მისი ქმრის- ანდრიას ძე გროსსის—ცოლთან გაყრის შესახებ საჩივრის გამო.

(108—1—

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სასამართლო

(ამით წინადადებას აძლევს ალბინა შახ-აზიზოვისას ამ განცხადების ორი თვის განმავლობაში გამოცხადდეს სასამართლოში თავისი მისამ საჩვენებლათ, ჯიმშერთან არუთიუნოვის მიერ აღძრულ 16.000 მან. გამო. უკეთუ შახ-აზიზოვისა ამ ვადის განმავლობაში არ გამოცხა სასამართლოს კანცელიარია გამოსაწვევ უწყებას ჩაბარებულათ ჩას და საქმეს არსებითად გაარჩევს.

№ 182 1—1

დაკარგე კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის № 77 მეეზოვე ამირ ბრო-ოღლის სახელზე. ლოს გაუქმებულათ. (166—1

დაკარგე საოჯახო პასპორტი და წითელ-არმიელის ტი იაკობ ბუჩნევის სახელზე. ჩაითვალოს ბულათ. (169—1

დაკარგე პასპორტი მე-2 კომისარიატიდან მარიამ არ საშვილის სახელზე გაცემული ჩაითვალოს ბულათ. (170—1

დაკარგე სახალხო კავშირის წიგნაკი № 974. კონსტ კუციას სახელზე რომელიც ჩაითვალოს გა ლათ. (152—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ახალ-ქალაქის აღმასკ მოცემული, ბორისი ასლანის ძე მამასახლის ხელზე რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულათ. (153—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწ ვერსიტეტის მიერ ლიპა ლეჟავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (167—

დაკარგე მუდმივი პირადობის მოწმობა, სოლომონ ძე გოგიშვილის სახელზე. მოცემული 1-ლ 1912 წ. № 4547, ჩაითვალოს გაუქმებულათ. (185—1

დაკარგე საბავშო სახლის № 4-დან ნატალია დვალის ზე გაცემული მოწმობა სამოქალაქო გადასახ განთავისუფლების შესახებ. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 184—(1—1

დაკარგე ალექსანდროპოლის სამაზრო სამმართ არმენუნ ასმარიანის სახელზე გაცემული მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 178—(1—1

დაკარგე პასპორტი ანნა ანდრონოვას სახელზე გაცემ თვალოს გაუქმებულათ. (162—

დაკარგულია მატრიკული № 3802 ტფილისის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტ დენტის კონსტანტინე არტემის ძე აპრიამოვის სახელზე გაცემული. ლოს გაუქმებულად. (180 1

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო ინსპექცია

აცხადებს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მწარმოებლების საყურადღებოდ, რომ დადგენილების № 21-ის მეხუთე მუხლის დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლის თანახმად, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანო—„საქართველოს სახალხო მეურნეობაში 1922 წლის ბალანსის პუბლიკაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1923 წლის 15 აპრილი.

შენიშვნა: დადგენილება № 22-ის მეექვსე მუხლში „ქვე-მუხლი 2“-ის ნაცვლად უნდა წაკითხულ იქნეს „ქვე-მუხლი 3“.

კრ. 215 3—1

რ. ს. ფ. ს. რ. ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოს განცხადება ჯანმრთელობის განყოფილების მიმართ.

ა. წ. 6 მარტს, დღის 12 საათზე, ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოს შენობაში (ანდრეევის ქ. № 101) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 1923 წლის 1 სექტემბრამდე ტფილისის საავადმყოფოსათვის და ტფილისის სადგურის სურსათის დამზადებელი პუნქტისათვის შემდეგი საგნების მოწოდებაზე: ა) ქათმების და კვერცხების, ბ) კომბოსტოს, კართოფილის, ჭარხლის, ხახვის, პამიდორის, მანნის კრუპის, კარტოფილის ფქვილის, ვერმიშელის, ერბოს, ბადრიჯანის, მწვანილის და სხვ.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ფასების დახურულ კონვერტებში გამოცხადების და მსურველების ზეპირ-ვაჭრობაზე დაშვების გზით. ამავე დროს ის პირები, რომლებიც განცხადებებს აძლევენ დახურულ კონვერტებში, არავითარ შემთხვევაში არ იქნებიან დაშვებული ზეპირ ვაჭრობაზე. ვისაც სურვილი აქვს მიიღოს მონაწილეობა ზეპირ ვაჭრობაში, მან ვაჭრობის დაწყებამდე უნდა შეიტანოს განცხადება ზეპირ ვაჭრობაზე დაშვებისათვის გირაოთი და დოკუმენტით, რაც მოწმობს მის მიერ დაწესებულ გირაოს შეტანას. გირაო უნდა წარდგენილი იქნეს ვაჭრობის დაწყებამდე მიწოდების ღირებულების 10 პროცენტის რაოდენობით—ოქროთი მომავალი საჯარო ვაჭრობის დღის კურსით. მიწოდების აღება შეიძლება განუყოფლად ორთავე უბანზე, ან ცალკე თვითეულ უბანზე, როგორც ეს აღნიშნულია განცხადებაში. განცხადებებში ფასები უნდა აღინიშნოს ოქროთი. კონდიციების და დაწვრილებითი პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. 12-დან 2 საათამდე დღის.

განცხადების მიცემის უკანასკნელი ვადა თავდება ა. წ. 6 მარტის 12 საათზე.

კრ. 214 2—1

ტირაჟი 10,000 ნ. ს. ღ. ფ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.